# თეატრი და ცხოვრება

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება

ნახატი ალ. ციმაკურიძისა

| 1925 წ. | მარტის 15—22 | ფასი 25 კაპ. | № 6 |
|---|---|---|---|



ეკატერინე გაბაშვილი
მცხოვანი დამსახ. მწერალი ქალი
ამ ჟამად ავადაა



კომპ. დ. არაყიშვილი
მისი საღამოს გამო
საოპერო თეატრში



კატო მიქელაძე
მწერალი ქალი
მისი ავადმყოფ. გამო

# 1-ლ აპრილიდან დაიწყება ბეჭდვა და ივნისში გამოვა ორ ტომად

# ჭოლა ლომთათიძის მოთხრობები

სოლომონ თავაძის (ობოლი მუშის) რედაქციით

## I ტომი

ჭოლას ბიოგრაფია შედ. ს. თავაძის მიერ.

1. თეთრი ღამე
2. უსათაურო
3. სახრჩობელას წინაშე
4. საპყრობილეში
5. უბის წიგნიდან
6. პირველი მაისი

## II ტომი

1. აღრევა სულისა
2. სიკვდილი
3. შიში
4. დუმილი
5. მოღალატე
6. გრამაფონი
7. უბედური
8. მამასახლისი თუაძე
9. მღვდლისას
10. მარინე მონაზონი
11. აღსარება
12. კვლავ ფიქრი, ფიქრი
13. წერილი
14. ჩემი დღიური
15. ჰონორარი
16. ივანე გარგანელი
17. გზაში
18. ძე-კაცისა

(2-რე ტომში მოთავსდება ჭოლას ჯერ გამოუქვეყნებელი დღიური დაწერილი „პრედვარილკაში“.)

**თვითეული ტომი იქნება დაახლოვებით 320 გვ., მოზრდილი ფორმატისა.**

ფასი 4 მ. ხელისმომწერთ.

ქაღალდის სიძვირის გამო წიგნები გასაყიდათ ძალიან ცოტა გამოვა და არა **ხელისმომწერთათვის გაცვლებით მეტიც ეღირება.** ამიტომ ვსთხოვთ ყველას, ვისაც კი ჭოლას თხუზულებათა შეძენის სურვილი აქვს ორივე ტომის ფასი **ოთხი მანეთი** გამოგზავნოს მაისის 15-დე ერთად ან ნაწილ-ნაწილად.

ფასი 4 მ. ხელისმომწერთ.

**ცნობა— თუ ვის რამდენი წიგნი დასჭირდება უნდა მოგვაწოდონ მარტის დამლევამდე კოლექტიურად ან ნაწილ-ნაწილად, რომ ამ ცნობების მიხედვით დავბეჭდოთ წიგნები.**

ამთავითვე ხელისმოწერა მიიღება:—**ტფილისში**—გამომცემელთან, წიგნის მაღაზია **„განათლება“**-ში, ლენინის ქ. № 6; **ოზურგეთში**—მოსე თალაკვაძესთან და განათლების განყოფილების წიგნის მაღაზიაში; **ფოთში**—მასწავლებელ ბართლომე მეგრელაძესთან, ისაკი სიხარულიძესთან (ნავთსადგურის სახალხო სახლი) და ვასო ქადიეშვილთან; **ჩოხატაურში**—ლადო ღამბაშიძესთან; **სიღნაღში**—ილიკო მხეიძესთან და ალექსანდრე ნაცვლიშვილთან; **თელავში**—ქრისტეფორე რამიშვილთან, კოტე გეგელიძესთან და იაკობ ცინცაძესთან; **სამტრედიაში**—ვალიკო ხ რებავასთან; **ბათომში**—ირაკლი ღლონტთან, სერგო ყუფარაძესთან და ონიფანტე რამიშვილთან; **ქუთაისში**—თომა მთავრიშვილთან, ალექსანდრე შარაშიძესთან, ემელიან წულაძესთან და ინავე კილაძესთან; **ჭიათურაში**—საველე თოდრიასთან; **ნაგომარში** გრიგოლ გუ უნავასთან. **ლანჩხუთში**—მასწავლებელ მიხაკო იმნაძესთან და ლუკა უ უშაძესთან; **სუფსაში**—კვიროსი ჩხაიძესთან; **ხიდისთავში**—ლეონტი კვაჭანტირაძესთან; **გორში**—ვარლამ მგალობლიშვილთან; **ზესტაფონში**—პლატონ კიკნაველიძესთან წიგნის მაღაზიაში.

ვინც 4 მ. გადაიხდის მაისის 15-დე, იმათ წიგნებთან ერთად **უფასოდ დაურიგდებათ ჭოლას გადიდებული** სურათი

გამომცემელი **სილიბისტრო თავართქილაძე.**

მთავლიტი № 343 პოლიგრაფტრესტის მე-2 სტამბა, ლენინის ქუჩა, № 3. ტირაჟი—1500

# თეატრი და ცხოვრება

1910—1925
წელიწ. XV

№ 6
(362)

ფასი 25 კ.

ყოველკვირეული სურათებიანი ჟურნალი

წლიურად 10 მან., ნახევარი წლით—6 მან. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილ შეიძლება. წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად: სარეპერტუარო პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 წიგნს.

რედაქციის მისამართი: რუსთველის პრ., № 34
„თეატრი და ცხოვრება“,
იოსებ იმედაშვილი.

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება.

დაარსდა 1910 წ. | მარტის 15—22 | გამოსვლა 1925 წ.


## ყველას გასაგონად

დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენს ქვეყანას, მთელს ამიერკავკასიაში გათქვეფილს, „კავკაზ“-ის სახელით იხსენიებდენ, ხოლო ჩვენს ახალგაზრდობას—რუსეთში უმეტესად „კავკაზეცად“, ევროპაში: „რუსლანდათ“.

საერთაშორისო, სოციალისტურ-რევოლიუციონურ გამოსვლების დროსაც ჩვენთა შვილთა ვინაობა-ნალვაწი ან კავკასიაში იყო გალესილი, ან რუსეთში.

სამწუხაროდ, დღესაც, როცა საქართველო სახელოვნო-საკულტურო სარბიელზე თავისი სახიერებით გამოდის, ასეთი „თვითგანქრობა“ გრძელდება. მიუხედავათ იმისა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ამის წინაალმდეგ ილაშქრებს.

ჩვენი ქვეყანა—საქართველო რომ ყველგან თავისი სახიერებით უნდა გამოდიოდეს, ამისი უფლება მოპოებული აქვს არა მხოლოდ შორეულ წარსულის მრავალ კულტურულ საგანძურით და მერმინდელ რევოლიუციონურ-პოლიტიკურ ბრძოლით, არამედ ბოლონდელ სამეცნიერო-სახელოვნო მუშაკობითაც.

განა შევვარცხვენს ჩვენი სულ ახლად ფეხადგმული კინო-მრეწველობა, ოპერა და სხ.?

ჩვენი კინო საზღვარგარედ როგორც რუსეთში, ისევე უცხოეთში ხომ საკუთარი სახელით, საკუთარი ფირმით უნდა გადიოდეს!..

სინამდვილეში ეს ასე არ არის: საქართველოს კინოს ნაწარმოები გადის როგორც რუსეთის ფილმა და რუსეთის ჟურნალებშიც ასევე იხსენიებენ.

ვითომდა რაო? რად და რისთვის იკარგება ჩვენი შემოქმედებისა და ხელოვნების სახეობა და სახელი?

იმედია სათანადო დაწესებულებანი ამ დაუდევრობას გამოასწორებენ.

*
* *

ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს ქაღალდის საკითხი, რომლის ქარხანის დაარსების შესახებ სოლ. ახვლედიანმა საფუძვლიანი წერილები მოათავსა გაზ. „კომუნისტ“-ში.

სწავლა-განათლებისა და მწიგნობრობის ერთი მთავარი ძარღვთაგანი ქაღალდია. ამ ქაღალდს კი უცხოეთიდან ვეზიდებით, ეს მაშინ, როცა ჩვენს ქვეყანაში საქაღალდო ქარხნისათვის საჭირო მასალა მრავალია და ქარხნის დაარსებაც ადვილი.

რესპუბლიკისა და მის მცხოვრებთა სწავლა-განათლებით და ნივთიერად მოღონიერების მონატრულმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, ასეთი ქარხნის დაარსება დროით გვეღირსოს.

## საკუთარის გილიკებით...

არც ერთ დარგს ხელოვნებისას არ უვლია ისეთის ტრიუმფებით, როგორც კინოს. სულ ცოტა ხნის წინადაც კი სკეპტიკურად უცქეროდენ მას და მისი მიღწევანიც დამთავრებულად მიაჩნდათ: თითქოს იგი მიადგა შესაძლებლობათა საზღვარს... მაგრამ წერტილის ნაცვლად ამ ბოლო ხანებში სრულიად ახალი ფურცლები გადაიშალა· და არა მარტო ხელოვნებაში მიდის კინო ასეთის ტემპით’ არამედ მეცნიერების მრავალ დარგშიც. დღეს საზღვარგარედ კინოს ფართოდ იყენებენ ყველა ტიპის საშუალო სკოლებში, უმაღლეს ტეხნიკუმებში და უნივერსიტეტებში; ყველა ერი ცდილობს დღეის ძალა-მიღწევა მთელ ხალხს კინოთი უჩვენოს, შეასწავლოს და შეაყვაროს.

გერმანია, როგორც ომამდე, ისე დღესაც უდიდეს ინდუსტრიის და ტეხნიკის ქვეყანაა. ომის მიერ შექმნილი სიცალიერენი მან გაასკეცებულის ენერგიით ამოავსო და მხნედ და ჩუმად გასწია წინ...

და სულ მალე ისევ დაანახვა კაცობრიობას თვისი გასაოცარი ძლიერება. მისი უკანასკნელი მიღწევა—ცეპელინი გამოფრინდა „ფრიდრიხს ჰაფენიდან“ და მთელი გერმანია შემოიფრინა, ვიდრე ამერიკა მას რეპარაციების ანგარიშში ჩაიბარებდა. ძლიერის რადიოთი ცეპელინი უკანასკნელ სალამს უძღვნიდა გერმანიის ყველა ქალაქებს... ეს ქალაქები, მთელი გერმანელები კი საერთო მილოცვას აწვდიდენ რადიოებითვე ცეპელინს და სტიროდენ მის სამუდამო განშორებას.—

სტიროდა დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი...

აი, მარტო აქ გამოჩნდა ის უდიდესი პატრიოტიზმი გერმანელისა, რომელსაც ჩუმად, ღრმად ატარებს მის გულში... მაგრამ ეს არ კმაროდა და საჭირო იყო ცეპელინის მიცილება თვით ამერიკის ნაპირებამდე. და ორიოდე კვირის შემდეგ გერმანიის უთვალავ კინოებში მთელი ხალხი ხედავდა ამ ზღაპრულ საჰაერო გემის გაფრე-

ნას და მიუხედავათ იმისა, რომ უკანასკნელი სურათი (ამერიკაში) „ჩაბარების“ ცერემონიალით თავდებოდა ხალხი მაინც იმედით ფეხზე დგებოდა და იმღეროდა ძველ ჰიმნს „Deutsch land, Deutsch land über alles“... და ასე ხდება ყველა ახალ მიღწევის გამო—ნამდვილი სახალხო ზეიმი იმართება მისი სურათებში გადმოცემის დროს.

გაიმართა კვლავ წელში გერმანიის სიამაყე—მისი ინდუსტრია და კინოები მთელ ხალხს უჩვენებენ ამ გერმანიის ძალას, მისი ვეებერთელა ქარხნების ყოველ სულის თქმას. და ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა, რომელიც მისთვის არა მარტო წარსულით და ისტორიით არის ახლობელი და ძლიერი, არამედ დღეის მაჯისცემით, აწმყოით, რეალურ აშკარა ძალით. ამაყად გვიყურებს გერმანელი უცხოელთ ყოველ ასეთ სურათის პაუზებში—თითქოს თვალებით გვეუბნება: „ჩვენ ვიყავით და ჩვენ ვიქნებით, კიდევ ვიტყვით ჩვენს სიტყვას!“ მაგრამ აქ არ არის წადილი ახალ სიტყვის ზარბაზნებით თქმისა, არამედ მაღალ კულტურით და ეკონომიური ძალოვნებით...

აქ კინო სადღეისო მიზანს ემსახურება, სხვა დარგის დამატებათ ხდება და მისი საკუთარი ბუნება იკარგება; ეს არ არის მისი არსებობის გამოჩენა; და ამ „გამოჩენას“ ჩვენ ვხედავთ წმინდა სახელოვნო კინომატოგრაფიაში და ეს ხდება თეატრისათვის ნაცნობის გზით: მსახიობთა თამაშით, ბუტაფორიით, დეკორაციებით, კოსტიუმებით და მრავალ აქსესუარით... აქ ერთი საინტერესო ტენდენცია ჩნდება, რომელზეც დღეს გერმანიაში ბევრი იწერება: შეიძლება ხელოვნების ეროვნულ ნიუანსების და ხაზების გარეშე განვითარება? მოკლედ—ეს ძველი დავაა—არის ხელოვნება ნაციონალური თუ ინტერნაციონალური? თითქო კინომ ეს კითხვა უფრო ადვილად და მარტივად უნდა გადასწყვიტოს, რადგან მას აქვს უძლიერესი იარაღი ინტერნაციონალურად გარდაქცევისა,—ეს არის ენა. თითქოს მკვდარი თეორია საერთაშორისო „ესპერანტო“-სი აქ ცოცხლდება და კინო ამ ენით ელაპარაკება და შინაარსს უშლის ყოველ ერს და რასას. მაშასადამე აქ ყველაფერი საერთო უნდა იყოს და განცდაც იგივეობით ხასიათდებოდეს, მაგრამ გერმანიის კინოს თანამედროვე კრიტიკის აზრით ეს ასე არაა და ერთხელ კიდევ მჟღავდება ძველი თეორია ნაციონალურ ხელოვნებისა. მართალია ხელოვნების მიღწევანი საერთაშორისოდ ხდება, საკაცობრიო კულტურის განძად, მაგრამ მის მიღწევებს და მაღალ იდეებს ყოველი ერი თავისებურ ფორმებში ახვევს, ინდივიდუალურ კოლორიტებით ამშვენებს და ამაშია სწორედ ხელოვნების ძალაც... ყველასათვის ძვირფასია ბუნება, გაზაფხული, სიყვარული და სხვა, საშინელია—ომი, აწიოკება, სიკვდილი, მაგრამ ყოველი ერი ამას თავისებურად ხატავს, აღრმავებს და გერმანიის კრიტიკას დღეს საკითხი უკვე გადაწყვეტილად მიაჩნია—რომ კინოც იმავე ეროვნულ ინდივიდუალიზაციის გზით წავიდა, როგორც ხელოვნების სხვა დარგები. ამრიგად უკვე გამოქანდაკებულნი სდგანან ჩვენს წინაშე: ამერიკული კინო, რომელიც ჯეკ ლონდონის ლოლიკური განვითარებაა, ფრანგული—მოპასანია, გერმანული—ჰაუპტონია და სხ....

მაგრამ ჩვენს ხალხს ეს კინოები იმდენად ახლოს არ ეკარებიან, როგორც შვეციის და ნორვეგიის კინოები. შესაძლოა ბევრი რამ მართლაც იყვეს ჩვენს შორის საერთო; მაშ რად უყვართ ჩვენში ასე ძლიერ იბსენი, ჰამსუნი, ლემერლეფი და სხ.

მე ბევრი დადგმა ვნახე შვეციურ-ნორვეგიელი ფილმის და ყველგან ერთი და იგივე ცხადი გამხდარა ჩემთვის: ამ ხალხს უსაზღვროდ უყვარს ლეგენდებით სავსე თავისი ქვეყანა, ფიორდებით, ტყეებით, ტბებით და ჩანჩქრებით მოფენილი ბუნება; ყველა ამეებში ლამაზათ გახვეული ლეგენდა, ზნეჩვეულება, ზღაპარი და წინაპართა ადათ-ჩვეულებანი... ეს ლამაზათ და სიყვარულით დადგმული სურათები მართლაც წარმტაცია!.. და ეს მშობლიურისადმი ღრმა სიყვარული წითელის ზოლით გაუტარებიათ ფილმის დამდგმელთ ყველგან, და ბოლოს მათ მთელი ქვეყნის ყურადღება მიიპყრეს.

შორეულ აფრიკის ნაპირებზე მოგზაური მეზღვაური—ნორვეგიელი უყვება თავის ამხანაგებს, თუ როგორია ამ დროს მისი ქვეყნის მშვენიერი ბუნება, თუ როგორია ის შემოდგომისას, ზამთარში და თქვენს წინ იშლება სურათები ამ თავისებურ—ზღაპრულ ქვეყნისა წლის სხვა და სხვა დროს.

აი, მეორე უფრო შესანიშნავი ფილმა „გიოსტა ბიერლინგი“, გადმოკეთებული შესანიშნავ მწერალ ქალის სელმა ლეგერლეფის რომანიდან. „ჩემო ტურფა სამშობლოვ, გადამიშალე შენი წიაღი, მაჩვენე შენი ცა, შენი მთები, შენი ურიანი ტყეები, გიჟი წყალვარდნილები, თოვლით შემოსილი მაღალი მთები“... იწყებს ავტორი, და შვეციის მიდამოები, მისი კონტრასტები ერთმანეთს სცვლიან, გატყვევებენ, „გახსენი შენი წარსულის ფურცლები“, განაგრძობს ავტორი, „წამიყვანე შენის ძველებურის ბილიკით ძველებურ „ეკები“-ს სასახლისაკენ, საცა ძველმა ფეოდალმა ეს სასახლე „კავალერებს“ (ძველი სექტა მოხეტიალე კომედიანტების, უსაქმოდ დარჩენილ ახალგაზრდების, უდარდელ მომლხენლებისა), დაუტოვა“. და ეს ძველი დრო იწყებს უცნაურ მეტყველებას თქვენს წინაშე; წაუშლელ შდაბეჭდილებას სტოვებს მაყურებელზე ეს სურათი; და ასეა სულ: „ჩვენი სკანდინავია, ჩვენი“...

უნებურად ვფიქრობ მეც ჩემს ტურფა სამშობლოზე მის წარმტაც ბუნებაზე, მის უცნაურ სილამაზის ძველ ბილიკებზე, მივიწყებულ და დანგრეულ სასახლეებზე, ლეგენდარულ ძველ ქართველობაზე ვინც აქამდე მოიტანა შეულახავად ჩვენი ღირსება და სიმდიდრე.

დღეს ჩვენში ბევრი კეთდება კინოსათვის, არ იზოგება არც ფული, არც ენერგია.. და მე ვფიქრობ, რომ ის გზა, რაც შვეცია—ნორვეგიის სკოლას აურჩევია, ჩვენთვის უფრო ნათესაური და მეტყველი იქნება, უფრო დააინტერესებს უცხოელს და ქართველს კი სიამაყით გულს აუვსებს. ჩვენ კ უნდა მოგვცეს ქართულმა ფილმამ საშუალება—ვიხილოთ უცნაურის კონტრასტების მატარებელი ქართული ბუნება—გიჟი მდინარეები, მყინვარის მთები, ზურმუხტი ველები, ცხრათვალა წყაროები, მთის ულეველი ყვავილები.. რა ვიცი, რამდენი რამ... ჩვენ ხომ საუბედუროდ ასე ნაკლებ ვიცნობთ ჩვენს ქვეყანას—ბუნებას: სვანეთი, ხევსურეთი ჩვენთვის ხშირად იგივეა, რაც აზორის კუნძულები.

ჩვენ უნდა გავყვეთ ჩვენს ძველ ბილიკებს, ძველ ციხეთა ნანგრევებისკენ, მონასტრებისკენ, სასახლეებისკენ, ქოხებისკენ და ჩვენ უნდა ავამეტყველოთ ძველი „ქართლის ცხოვრება“... ვნახოთ, განვიცადოთ ჩვენი აწმყოს ღრმა და ძველი ფესვები. ჩვენ ხომ მარტო თამარს და ლაშა

გიორგის ვიცნობთ და მაშინდელი ხალხი, ქართველობა ისეთივე უცნობია ჩვენდა, როგორც იმავე აზორის კუნძ. მცხოვრებნი, არის ბევრი რამ რომლის აღბეჭვდა დღეს-ვეა საჭირო, ზოგი კვალი თანდათან იშლება და მალე წაგვერთმევა საშუალება მითი ძველის აღდგენისა. რამდენი განძია საქართველოში!.. რამდენი ლეგენდაა მთაში და ბარში დღემდე კიდევ დაცული და ძვირფას მასალას იძლევიან ისინი ფილმისთვის.

საუბედუროდ მე არ მინახავს ქართულ კინოს ბოლო დადგმანი, მაგრამ რამდენადაც ის გაზეთებში გადმოცემულია, ემჩნევა, რომ სწორედ ამ გზით მიიწევს წინ და ამაში იქნება მისი ძლევამოსილებაც, მარტო სკანდინავიის ფილმის გზა არის ჩვენთვის ახლობელი და ამ გზას — ძველის ბილიკებს გაჰყვება ალბათ ქართული კინოც..

ჰამბურგი. 1925.

**თამარ გოგოლაშვილი.**

# ქართული თეატრის გუდე

ქრისტეშობის დამლევი იყო, 1874 თუ 75, ნამდვილად არ მახსოვს, ჩემთან შემოვიდა დიმიტრი ყიფიანის ასული ლოლა და მითხრა: სალამოზედ ჩვენთან კრება დანიშნული წარმოდგენის მოსაწყობათ. მამა ჩემი გვირჩევს დავდგათ შექსპირის შეუდარებელი დრამა „შეილოკ“ *), რომელსაც დღეს თითონ წაიკითხავს თქვენთვის გასაცნობათ და შემდეგ მოთამაშეთა ძალების გამორკვევისა, გაანაწილებს როლებს. რასაკვირველია, შენც უნდა იკისრო რომელიმე როლი, რადგან მე უშენოთ არ ვთანხმდები სცენაზედ გამოსვლასო.

მე მწარეთ ჩავიცინე და ჩემ ორ პაწაწინა ბალღზედ მაუთითე:



**დიმიტრი ყიფიანი (1814—1886)**

ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი, შეურაცხყოფილი საქართველოს გამოსარჩლებისათვის რუს მონარქისტების მიერ შუბლგაპობილი, მთარგმნელი „ვენეციელი ვაჭარი“ს („შევლოხა“-ს), ქართული თეატრის მოღვაწეთაგანი, რომლის შვილებია: კოტე, ნიკოლოზ, ელენე ყიფიანები, ხოლო რძალი—ნინო ყიფიანისა (კოტეს მეუღლე, „სპარტაკის“ მთარგმნელი) და შვილისშვილი ბაბო ყიფიანი.

— განა შემიძლიან სადმე წასვლა, ან რაიმეს გაკეთება! არა, ჩემო მეგობარო, ტყუილათ მეპატიჟები და უჩემოთაც ძალიან კარგად მოაწყობთ.

— არა, არასოდეს. ჭირვეულობდა მეგობარი: მამამ სწორედ შენზედ მოაწყო იესსას როლი და მე ვიცი შენ არ მოინდომებ იმის ხათრის გატეხას.

მე კიდევ თავი გავიქნიე.

— სირცხვილი შენთვის ქალბატონო, — თავისებური გაბედულობით შეჰყვირა იმან, — რომ უარს ამბობ ამ საქმეზედ, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი საზოგადოების გამოსაფხიზლებლად. თუ შენ ერთი ინტელიგენტ ქალთაგანი არ გამოხვალ სცენაზედ, მაშ ვინღა უნდა და უჩვენოს მაგალითი ჩვენს კარჩაკეტილ ბარიშნა—დედოფლებს.

— ვწუხვარ, რომ იძულებული ვარ უკან ვიდგე ამ დიდებული საქმიდგან, მაგრამ...

განრისხებული მეგობარი გავისტუმრე, და მე, დაძმარებული, ოჯახის მოვლას შევუდექი.

*) ვგონებ დიმიტრისგანვე ნათარგმნი, თუმცა ნამდვილათ არ მახსოვს, დაპირველი დრამა ქართულ სცენაზე დადგმული.

დაღამდა. ბავშვებმა დაიძინეს, ჩემი ქმარი საწერ მაგიდას მიუჯდა თავის სამსახურის საქმეების განსახილავათ.

— არსად წახვალ ამ სალამოს? შევეკითხე ჩემ მეუღლეს და უჩუმრად გავიპარე სანატრელ კრებაზედ.



**შევლოხა—(„ვენეციელი ვაჭარი“)—კოტე ყიფიანი**

(პიესა უ. შექსპირისა, თარგ. დ. ყიფიანისა).

დიდი, უშველებელი ყიფიანიანთ დარბაზი სავსე იყო ხალხით. მოზრდილ ნაწილს შეადგენდნენ სემინარიის უფროს კლასის მოწაფენი, უკვე წვერულვაშით შემკულნი ვაჟკაცნი, მათ შორის თუ მეხსიერება არ მტყუნობს, დავით კეზელიც წითელ ხალათში გამოწყობილი, თითო-ოროლა ახალგაზრდა მწერალი და ორი-სამი ცნობილი საზოგადო მოღვაწე. აქა-იქ ყმაწვილი ქალის მორცხვი, გაუბედავი და მოკრძალებული ფიგურაც გამოკრთოდა დარბაზის კუთ-

საზოგადოება რამდენსამე ჯგუფად იყო დაყოფილი და თავიანთ შორის თაბულის ხმით ბაასობდენ; სტუმართ შორის დიმიტრის შვილებიც კოლა, კოტე და ელენე ისხდნენ და ისინიც დაბალის ხმით, მოკრძალებით საუბრობდნენ ერთი სიტყვით მთელი ეს საზოგადოება რაღასიც მოლოდინში იყო, რომ ხმა შეერთებინა და თავისი შეკრების მიზანი ელიარებინა და ეს მოლოდინი კი ძლიერ ხანგრძლივი და გაუთავებელი გამოდგა.

დარბაზიდან კარი შედიოდა დიმიტრის კაბინეთში და იქიდგან მკაფიოდ ისმოდა ჩუმი ბაასი, ერთ-ორჯერ კოცნის ხმაც მოისმა, თხოვნა, ალერსიც. შვილებმაც მოუხშირეს მამის კაბინეთში შესვლას და ვიღასაც თხოვნა-ალერსს, თავიანთიც შეუერთეს.

დარბაზში მსხდომ მომლოდინეთ მოთმინება დაგვეკარგა, რაღაც მოუსვენრობას ვგრძნობდით და მზათ ვიყავით პროტესტისთვის; საკმაო იყო ერთი მაღალი ხმა ამოეღო ვისმე, რომ საერთო უკმაყოფილება წამოჭრილიყო ჩვენში და ავშლილიყავით.

თითქო მიხვდა ის, ვისი ცდაც აღარ ძალგვიძდა და გამოჩნდა დარბაზში. ეს იყო ღვთაებრივის სახით აღბეჭდილი დიმიტრი თავისი მეუღლით ნინოთი, რომელიც ილიმებოდა გამარჯვებულის ღიმილით და ხელი-ხელ გაყრილი მოაბრძანებდა დამარცხებულ მეუფებას.

ჩვენ ყველანი ზეზე წამოვდექით და მოწიწებით სალამი უძღვენით შავ სერთუკში და თეთრ საყელოში გამოწყობილ მშვენიერ მოხუცს, რომლის მოლოდინში დიდი დრო და დიდი მოთმინება დავხარჯეთ, მაგრამ ჩვენი მოწიწება მისდამი კი არ დავკარგეთ.

შუა ზალაში მაგიდა იდგა და მაზედ მდგარი ლამფა მკრთლად ანათებდა გარეშემოს. ქალ. ნინომ მაგიდასთან მიდგმულ ღრმა სავარძელში ჩააბძანა სახელოვანი მეუღლე და მერე იქ მყოფ ყმაწვილ ქალებს დაუწყო თვარიელება; ამათში აირჩია მშვენიერი, ეშხით სავსე გურამიშვილის ასული ელიკო და ქრმის სავარძელთან მიკრულ სავარძელში ჩასვა ამ სიტყვებით: დიმიტრი ვერ არის ნკითხვის გუნებაზედ, ცოტაოდნათ თავიც სტკივა და თქვენი სიმშვენიერის სიახლოვე გაამხნევებს, აღაფრთოვანებს ა ძალას შეაკრებინებს დიდებული შექსპირის, დიდებულა დ წაკითხვისთვის.

დიმიტრის ცხადად ემჩნეოდა, რომ გონებაზედ არ იყო მაგრამ, როგორც ნამდვილმა ჯენტლემენტმა, მომხიბლავის ღიმილით მიიღო მშვენიერი მეზობელი და თითქო მართლა წაქეზებული მისის ეშხით, შეუდგა კითხვას. და თავისის ღვთაებრივის, იშვიათის ხმით და კითხვის ხერხით, მთდალ მოხიბლა, დაიმონა საზოგადოება. ყველანი აღფრთოვანებით ვისმენდით დიდებული მოხუცის პირით, მოხუცებული ებრაელის შეილოკის მრისხანებით და შურისძიებით აღსავსე სიტყვებს ქრისტიანთგან უსამართლოდ შეურაცყოფილის „ურიისას“ და მის სასტიკ ჯავრის ამოყრის სურვილს შეურაცხმყოფლებისადმი, თითქმის სამართლიანად ვხედავდით.

„ერთი გირვანქა ხორცი, გულის უახლოეს ამოჭრილი, ერთი გირვანქა გამოუსადეგარი ლეში, საჭიროა ჩემთვის'', ჰქუხდა და გმინავდა ებრაელი დიმიტრის ზარდამცემი ხმით და ჩვენ იმის მსმენელები, ვგრძნობდით მთელი საუკუნების განმავლობაში დევნილის ,,ურიის'' დრტვინვას და უაღრესის შურისძიების სურვილსა.

,,მიიღე უთვალავი ოქრო და დასთმე უსარგებლო სისხლის ღვრა'', ემუდარებოდნენ ,,მყრალ ურიას“ ანტონიოს ამაყნი ქრისტეანე მეგობრები, მაგრამ ის ულმობელი იყო და შესაზარის შურისძიებით აღსავსე, ვენეციელი ვაჭარი, კვლავ თხოულობდა ვენეციელი სამსჯავროს პირუთვნელ გადაწყვეტასა:—აღადგინეთ ჩემი უფლება და მომეცით ის, რაც ხელწერილით მე მეკუთვნის“ და თან გაათრებით ლესავდა ხორცის ამოსაჭრელ დანას.

ასე და ამ რიგად მრავალი ადგილი დრამიდგან გაანათა და ცხოველჰყო ჩვენთვის; თითქ ის ყველა იქ მყოფ უცნობებისათვის უკვდავი შექსპირის უკვდავი დრამის სიღრმე. თითონ მკითხველი დაქანცული და განცდათა უძლიერესათ გადმომცემი, ულონოთ გადესვენა სავარძელზედ და კითხვის გაგრძელებაზე მიუთითა თავის უფროს შვილს კოლას.

შვილმა, ღირსეულის მამის ამ მამისებური ღირსებით შემკულმა—მშვენიერის გარეგნობით და ხავერდოვანის ხმით, განაგრძო კითხვა და სრული წარმოდგენა მოგვცა უკვდავი დრამის, უკვდავი გმირებისა.

შემდეგ როლების განაწილებას შეუდგნენ და უმეტესობის ხმით, კოტე, მეორე შვილი დიმიტრისა, აირჩიეს შეილოკის როლის ასასრულებლად და ისიც ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ასრულებდა ამ როლს და არც არავინ შესცილებია შეილოკის განსახიერებაში კოტე ყიფიანს.

პორციის როლი აკუთნეს დიმიტრის ასულ ლოლას და მისი გადსის ინესსას როლი—მე.

უკვე ღამის ორი საათი იყო, როდესაც დავიშალენით.

განცდათა სიმშვენიერით გარინდებული და დამტკბარი, ნელა ნელა მივდიოდი სახლისკენ და მხოლოდ კარებთან მისული, უცებ გამოვფხიზლდი.

ჩემი ქმარი ფეხშიშველი და მარტო საცვლებით, ოთახში გიჟივით დარბოდა და გადაბჟირებულ ბავშვს, ვითომ ამშვიდებდა, მეორე ბავშვი ტიტველი იჯდა და თავის უმცროს ძმას, საშინელის ხმით, ბანს აძლევდა:

ჩემ დანახვაზედ შეილოკივით შურისძიებით გაათრებული მეუღლე დამეტაკა:

—აფერუმ!, ქალბატონო, აფერუმ! მშვენივრად შეგფერის მაწოვარ დედას არტისტების უკან დევნა და ბავში გულზედ მომახეთქა: გაქრა, დედაკაცების სვინდისი, გაქრა! კვლავ დიდხანს ისმოდა მეუღლის ბუტბუტი.

შვილი გულში ჩავიკარ და სიტყვა დავდე არტისტობისთვის სამუდამოთ მეთქვა უარი.

ამიტომაც შემდეგ რეპეტიციებზედ აღარ დავსწრებივარ და არც მახსოვს ვინ იყვნენ დრამის სხვა აღმსრულებელნი ან თვით ბრწყინვალე დრამა როგორ გაიტანეს ბეჩავმა ამსრულებლებმა.

მე მხოლოდ მეხსიერებაში ჩამრჩა სამუდამოთ, დიმიტრი ყიფიანის და იმისი ოჯახის სამსახური და დავალება ქართველ ახალგაზრდობის აღზრდისადმი.

**ეკატერინე გაბაშვილი**

დეკემბერი 11. 1924 წ.

# სოფლებსაც უნდა ჰყავდეს ცოცხალთა მხატვარი

დაბა-სოფლებში ფარუკების (პარიკის) და გრიმის მხრივ ძალიან ფერხდება წარმოდგენების მოწყობა და მართვა. საჭიროა, ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, მაგრამ როგორ?.. სოფელს ესაჭიროება მცოდნე ხელოსნები და ჩვენკი ამ დარგის ხელოსნების უყოლობით გასაჭირს განვიცდით: რაც მოგვეპოვება—ისიც მოსპობის გზაზეა დამდგარი. ზოგიერთი ამ ხელობას ეჭვის თვალით უცქერის დ გამოუსადეგარი ჰგონია. ეს ხელოსნობა არც ეგრე აბუჩათ ასაგდებია. თუ ხელოსანს სრულიად ესმის თავისი ხელობა, ის ისეთივე სასარგებლოა როგორც კარგი მსახიობი, და განა მსახიობს უამხელოსნოდ შეუძლიან რამე გააკეთოს, არა!.. ესენი ერთმანეთთან ხელიხელჩაკიდებული არიან და ერთად მიიწევენ წინ სამოქმედო ასპარეზზე.

არც ერთი წარმოდგენა ვერ წავა უამხელობოთ: ის ჰქმნის სილამაზესა და მშვენიერებას, გვისურათებს სიმახინჯეს, აცოცხლებს ისტორიულ პირს და სხ. მოკლედ: ეს ხელოსნობა ცოცხალთა მხატვარია, მშვენიერების მეფე. ამიტომ ეს ხელოსნობა მსახიობთა სტუდიასთან ერთად უნდა ვიდოდეს მაგრამ ასე არ ხდება.

იმდროს, როცა კინო-მრეწველობა უმაღლეს წერტილამდე აღწევს, ეს ხელობაც განვითარების სიმაღლეზე უნდა იდგეს, რომ ამ ხელოვნებას მარჯვენა ხელი არ მოეშალოს. საჭიროა ამ ხელოსნობას სიფაქიზით მოვექცეთ, თორემ ხელიდან მიგვდის. საქმის მცოდნე ხელოსნები აღარ არიან: ვინც იყვნენ დროს შეუფერებლობის გამო შეგირდებს ვერ ასწავლეს და ისტორიას ჩაბარდნენ. დღეს ამ ხელობის სრულიად არ მცოდნე ხელოსნებთან მოწაფეთა მიბარება შეუძლებელია, რადგან სწავლის წყურვილით გატაცებელი მოტყუებული დარჩება.

საჭიროა ამ დარგის ხელოსნობის ორ-წლიანი სასწავლებელი, სადაც აღიზრდება სწავლის წყურვილით გაცაცებული მოზარდი თაობა. ეს იხსნის ამ ხელოსნობას დაღუპვისგან და მაღალ საფეხურზე დააყენებს. ეს სასწავლებელი შექმნის ფარუკების და გრიმის ნამდვილ ხელოსნებს სოფლისა და ქალაქისათვის.

**დ. გაბრუაშვილი.**

# გასვენება 22—12-ის 15 ნოემბერი 1924

### ელლეონორ და მოგონილი მითი

ვიყავი ტყვე და 22—12 იყო წამება.
22—12-ს დაკოჟრებულ ხელებით მივყავდი ამ ქვეყნის შეუჩერებელ ბილიკებზე.
არ ვიცი საიდან...
არ ვიცი რისთვის...
არ ვიცი სად...
ალბად ახარებდა 22—12-ს ჩემი წამება...
ხშირად ვტიროდი და მენანებოდა იგი...
მეზიზღებოდა კიდეც და ვუთვლიდი შეჩვენებას ჩემ ტანჯვების ინტერვალებიდან.
მრავალი სამდურავი მიიღო ჩემგან...
ვწყევლიდი მუდამ და მინდოდა მოსვენება,
და მინდოდა ალბად სიკვდილიც...
ბევრი კანკალი გადამატანია, ბევრი სიფითრე ანახვა ჩემს სახეს, სახეს, რომელიც მუდამ ელოდა მზიან დღეებს...
ახლაც ჟრუანტელი მივლის მოგონებებზე და
ვარდები ლოცვებში, ვარდები ჩემს ირგვლივ. სვეტივით ამართულ ზღაპრებში...
ბევრი ვიცოდი თქმები ძველთაგან და თითქოს მაჩერებდა ეს...

. . . . . . . . . . . . . . . . . . .

იყო იმედები...
და იმედებით შეკავება...
მაგრამ:
სული ითალხებოდა...
სული იღლებოდა...
სული რომელიც გაწვალებული იყო ჩემზე უფრო...
თვალები, უსისხლო თვალებიც დნებოდნენ ცრემლებად..
და იყო დაღვრემა...
და იყო სევდა დაუნახავი...
და მებრალებოდა სული ჩემი უდროოდ ატირებული, სული რომელსაც ბევრჯელ ანახვეს სიცივე...
ილეოდა იმედებიც...
და იყო მზადება, მზადება შორს წასასვლელად... სადაც ელოდა ჩემს სულს:
უფრო ცრემლი, უფრო დარდი...
საანგარიშოზე რგოლები ავარჯიშდნენ და ანგარიში თავდებოდა...
და თავდებოდა ჩემი სულიც...
ეს იქნებოდა უკანასკნელი დაოხვრა 22—12-ზე,
და დაღვრა ცრემლების ბრილიანტებად...
მაგრამ...
**თეთრი ხელი...**
თეთრი ხელი დაეცა საანგარიშოს...
იყო შეხედვა მოკრძალებით და სევდებმა ლანდებად ჩამიარეს წინ...
თეთრმა ხელმა ანახვა ყველას სიცივე, და განუწყვეტელი მეტეორები ეცემოდნენ მინას...
თეთრი ხელი გადაესვა ჩემს შუბლს, შუბლს სადაც იწერებოდა ჩემი ეპიტაფია.
და თეთრი თითები, ლამაზი თითები, რომელთა დანახვაც არ შეეძლო ყველას, ათამაშდნენ ჩემს დაღარულ ლოყებზე...
წუთებს მიჰქონდათ ცრემლები და მიდიოდნენ იქით, და შორდებოდნენ ჩემს მოგონებას.
და იგრძნო სულმა სითბო...
სულმა შესწყვიტა ტირილი, და იხედებოდა მზისკენ...
სულში დაიკივლა სიხარულმა...
ჩემს წინ, ვით ქანდაკება, აღიმართა
**თეთრი ასული...**
თეთრი ასული და... იმედები ჩნდებოდნენ დაჯერებად...
და ნანობს წინანდელი მწუხარება დღეების დაკარგვას...
და ოხრავს...
მაგრამ...
უხარია მასაც...
უხარია: ჩემი სიხარული, ჩემი აელვება...
მასაც უხარია:
აღსასრული თავის, აღსასრული წაკითხული:
ნოემბერზე,
და
თეთრი ასული სდგას სამუდამო იმედივით,
სამუდამო სიხარულად...
მაგრამ მაინც ველი კიდევ: ცრემლს, რადგან ვგრძნობ:
ესაა ბედი...
მაინც ვგლოვობ სიხარულს, რომელიც ორივეა:
ტირილიც!!!
სიხარულიც!!!

**შალვა იმედაშვილი**

**15-XI-24.**

## ცოცხალი ნიღაბი

აბა, იაფად ნიღაბები, მუქთად. იაფად!..
ყოველგვარი მაქვს: სევდიანი, სიბრძნის, სიცილის...
თქვენ დაღლილ სახეს მოუხდება, აი, ეს ნიღაბი..
მხიარულია, უდარდელი!.. გირჩევთ აიღოთ!..
იქნებ ეს მოგწონთ?!.. წაისულელებს!.. ესეც კარგია!
ხა! ხა! აი ხომ ხედავთ როგორ, ერთბაშად გამხიარულდით;
ბევრმა წაიღო სწორედ ამგვარი ნიღაბები...
გნებავთ ეს ნახოთ?.. ეს... მეტისმეტად... უცნაურია...
ამას ვერ ვიცნობ... ვიცი მხოლოდ, იცინის, სტირის, ხარ-
ხარებს თუ სდუმს, აი ეს ხაზი არ იშლება...
მუდმივათ აქვს...
სტირის უცრემლოდ, ხარხარებს უხმოდ...
...ხშირად ფერს იცვლის...
თითქოს იგი ცოცხალი იყოს...
ხედავთ, გაფითრდა...
აა, ეს ხაზი, ჩაყინული, ჩატეხილ სევდათ, ავადმყოფი ღიმილი პირზე—თითქოს ამაში იმალება მთელი სიცოცხლე, ჩამარხულია რწმენა, ბედი და გადარჩევა...
— თქვენ ეს მიგაქვთ?!!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ვერა, ვერ მოგცემთ...
შეხედეთ... სტირის... უცრემლოდ სტირის...
ეს ცოცხალია—სხვა აირჩიეთ იაფად, მუქთად...
ამას... ვერ მოგცემთ!

**ნინი ჩიხლაძე**

## ჩვენი მწერლობა

**ხარიტონ ვარდოშვილი**

**ლექსები 1918—23 ტფ. 1924.**

ეს უმცროსი ძმაა, რომლის ვარსკვლავი საკმაოდ მკაფიოდ და თავისებურად ციმციმებს ჩვენს ლიტერატურულ ცაზე. მას არ უნახავს 1905 წლის წითელი დროშები და არც განუცდია ევდოშვილის დაძახილზე „მეგობრებო! წინ, წინ გასწით, ნუ შედრკება თქვენი გული!" ისეთი აღტყინება, როგორც განიცადეს მისმა უფროსმა ძმებმა. მას არ დასჭირვებია ვარლამ რუხაძის, გ. ქუჩიშვილის, ნ. ზომლეთელისა და სოლომონ თავაძესავით პოეზიაში პროლეტარიატის ფეხდაფეხ დევნა გამარჯვებისაკენ და ყოველი ახალი გამარჯვების ლექსად ასახვა.

ის მოვიდა შეუმჩნევლად: ნაზი, მეტად მგრძნობიარე, უკვე საკმაოდ გამობრძმედილი ლექსების ამოკვეთის საქმეში. მოვიდა და მიიღო გამარჯვება დაჩაგრულებისა (იხილე ლექსი „რევოლუცია") და უპრეტენზიომ, მაგრამ ლამაზად მორთულმა, მაშინვე დაიდგა ჩვენს გულში ბინა. ჩვენ უსათუოდ ვაფასებთ მას, როგორც პოეტს, უტყუარს, ენერგიულს და ახალგაზრდას, ჩვენ გვიხარიან, როდესაც ხელში ვიღებთ ლამაზად, მოხდენილად და ამასთან სადათ გამოცემულს მის წიგნს, რომელშიაც ერთობ ძნელია ყალბი სტრიქონების აღმოჩენა.

პირველი ლექსი—სათაურით „სათხოვარი სულისადმი" ბევრნაირად არის საყურადღებო. უნდა აღინიშნოს, რომ ეგ ფორმა, ეგ ლირიული ხერხი პოეზიაში პირველად ხარიტონ ვარდოშვილის მიერ არის შემოტანილი. საეკლესიო პოეზიაში ჩვენ ხშირად ვხვდებით მიმართვას სულისადმი („სულო ჩემო!"), სადაც მხილებაა სულის ხვეულებისა და გზათა ცოდვილთა. მაგრამ ეგ ტრადიცია როგორღაც გადაიჭრა. სულს დაუბრუნდა ვარდოშვილი, ის დარჩა მასთან, და დაიწყო აზრების აკინძვა. ეგ ხერხი მადლიანია და ნაყოფიერი, რადგან იგი პოეტს ბევრ შესაძლებლობას აძლევს. აქ აღარ არის ჩიხები, გაუვალი კედლები და საშიში ხვრელები. თუ პოეტი გულწრფელია და სიტყვის ოსტატი, მას შეუძლიან სრულიად დამშვიდებული იყოს და განაგრძოს საუბარი სულთან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხარიტონ ვარდოშვილის სათხოვარი სულისადმი", როგორც რკალი, ჯერ არაა დასრულებული.

პოეტის შესაძლებლობანი ამ კუთხეში ჯერ კიდევ ფართოა, მისი სული ჯერ არ ამომწვარა.

რამდენიმე მაგალითი:

არ მოისვენო, არ მოისვენო,
სანამ არ მოკვდეს შენში განგება.
აინთე გრძნეულ იდუმალებით
და დაიცალე მზიურ ჰანგებად...

პოეტი გვეხატება დაუშრეტელ ენერგიის წყაროდ აქ გვაქვს შორეული პარალელი „არა, აჰყვავდეს იმედისა".

ზომიერება შენთვის არ არი.
დაფერფლე შხამი გზებზე დარგული.
ბედი შავია და საზიზღარი.
ქვეყანა ცოდვით შემოქარგული.
შენ ხომ გატყვევებს მშვენიერება.
გრიგალი იყვეს შენი სავანე!
ქვეყნად არ არის ბედნიერება.
ამაღლდი, სულო, ცად ამიყვანე!..

ცად, გრიგალის სავანეში „ელვიდან ჩამონათალ ცეცხლის", ე. ი. სულის ავარდნა იმიტომ, რომ „ქვეყნად არ არის ბედნიერება"—პოეტის მიერ მძლავრად არის დასაბუთებული. საერთოდ აქ განშტოვებაა მიცკევიჩის „ფარისის" და ბარათაშვილის „მერანის" პრობლემისა. ვარდოშვილის ზოგადობიდან კონკრეტიულის გზით მიმდინარე მოტივები საკმაოდ ანთებულია და უკვალოდ არ რჩება მკითხველის გონებაში.

მე-VII მუხლი „სათხოვარისა" შედევრად მიგვაჩნია. ეს ლოცვაა პოეტისა, ლოცვა ღრმა განცდით დატვირთული და გულახდილი.

„ღრმა უფსკრულები სიკვდილების
აუშვებს ბინდებს".
— არ შეგეშინდეს".

ბევრს პოეტს ახასიათებს მოტივაცია განცდათა, მაგრამ ხშირად დატვირთულია ლექსი, არ არის სასიამოვნო ელიპსისები, გვეხამუშება, როდესაც ყოველ წუთში „გვასწავლიან". ამ მხრით ვარდოშვილმა სიძნელე გადალახა. მისი პატარა ლექსები გამოთელილი ელიპსისებია.

მაგალითი:

გადამემტერენ ქარიშხალები.
ვხედავ: ცა ირგვლივ აჩრდილებს იკრებს.
შევალ ღამეში, დავიმალები
და დავასვენებ მღელვარე ფიქრებს.
მე მიხარია, რომ ჩემი სული
მიწვდა სიმაღლეს, ცეცხლების მსახველს.

ნიავს მიეცი ლანდი წარსულის
და სივრცეების გავყევი ძახილს.

მეტად ძნელია 8 სტრიქონის მანძილზე უფრო მეტი ლაკონიურობა. აქ უკვე აღარ გრძნობთ ლექსის ჩარჩოების გაფართოების საჭიროებას. სამაგიეროდ გზა-გზა აშლილი ნაპერწკლები საკმაოდ აღვივებენ გონებაში ფიქრთა კომლებს, და აზრი უნებლიეთ პოეტის ნაფიქრს აღრმავებს.

ასეთი მოკლე, მაგრამ საყურადღებო ლექსები პოეტის კრებულში საკმაოდ მოიპოება.

ლექსის კულტურის მხრივ პოეტი თანამედროვე პოეზიის პირმშოა. არ შეიძლება ითქვას, რომ მას უდავოდ ჰქონდეს მიღებული ზოგიერთი მიღწევანი, მაგრამ ბევრი რამ, როგორც ამას წიგნის მთელ მანძილზე ვგრძნობთ, საკმაოთ გამოუკვეთავს/გონების ქურაში —და მიუღია.

არის ნაკლიც, რომელიც უნდა აღინიშნოს. პოეტს ხაზები და საღებავები ზოგან მეტად აქვს დაგროვებული. უსათუოდ გრძნობთ, რომ აქა-იქ მასალების გადალაგება პოეტს ადვილად შეეძლო. გადაწყვეტით არ ვიტყვით, მაგრამ შესაძლებელია საშუალო ტანის ტომისთვის თემათა განსაზღვრაც იგრძნოს მკითხველმა. არის უხერხული გამოთქმებიც („ძაღლებიც სტირის ამაოებას").

არიან ჩვენში პოეტები—თანამგზავრნი. ხარიტონ ვარდოშვილი ერთ ასეთ თანამგზავრთა რიცხვშია. მას, მორიდებულს და ფიქრებით დატვირთულს, ჩვენ ყოველთვის სიამოვნებით ვუსმენთ მისი სავსებით მისაღებ ტომიდან. ჩვენი სურვილია ვნახოთ შემდეგი ტომებიც.

**შხეფელი**

## მ ჭ ე დ ე ლ ი

(ძველი რვეულიდან)

ქურა ღვივის, ცეცხლში რკინა ცხელდება,
ჩემი გული ფიქრთა გროვით ღელდება.

—

ტვინის ძაფი მიწყალდება, ბნელდება,
გული მიშფოთს, საშინლადა ხელდება!

—

ჩემსა ბედსა მევე ვჭედავ გრდემლზედა,
თვალებს ვიწვამ ცეცხლის ალის ცრემლზედა!

—

უროს ურტყამ, ნაპერწკლები ფრინავენ,
განცხრომით ძენი უდარდელად ხვრინავენ!

—

ჩვენ წილად გვხვდა მტვერი, მჭვარტლის ბოლები,
ხუნდებს ვჭედავთ და გამოგვყავს რგოლები.

—

ვის ადებენ ამ ხუნდებსა ფეხებზედ?—
ისევ მასა ვინც რომ სჭედავს გრდემლებზედ.

—

ბედნიერნი ხელებს მაგრად მუჭავენ,
ჩვენ არ გვხედვენ, ძალად თვალებს ხუჭავენ.

—

არა სწერენ ჩვენ ცხოვრების ჰანგებსა,
როგორ ვულაპამთ ბოლს და ჭუჭყის ჟანგებსა.

—

ქურა ღვივის, ქშინავს თავისებურად
და მჭედელიც თავს იქნევს უნებურად...

**იაგო ტატუნაშვილი**

# ქართული თეატრის გალერეა

### I. ქეთო ანდრონიკაშვილი.

ქართული თეატრის ისტორიის მადლიანი კაბადონები არა ერთმა და ორმა მოღვაწემ შეამკო სახელოვნო და სამოქალაქო მუშაკობით.

ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია დღეს თითქმის უყურადღებოთ მივიწყებული ქეთევან ელეფთერ ზურაბიშვილის ასული ანდრონიკაშვილი-კახიძისა.



**ქეთო ანდრონიკაშვილი**
(ზურაბიშვილი-კახიძისა)

ქეთო სამშობლო სცენაზე იმ დროს გამოვიდა, როცა ჩვენი სამუდამო თეატრი ფეხს იდგამდა. ეს იყო 80-იანი წ.

ძნელია დღეს იმის გათვალისწინება, რაც მაშინ ჩვენის სცენის დედაბოძებმა—ვასო აბაშიძემ, კოტე ყიფიანმა, კოტე მესხმა, ლადო მესხიშვილმა და სხ. გამოიჩინეს.

ამ ჩვენი პირვანდელი სცენის ბუმბერაზთ მხარდამხარ მოსდევდენ ბაბო ავალიშვილი, მაკო საფ.-აბაშიძისა, ნატო გაბუნია ელ. ჩერქეზიშვილიდა და, მათ შორის, ქ. ანდრონიკაშვილი, რომელიც ახლად ფეხადგმულ თეატრში ჯერ კიდევ შეუჩვეველ ხალხს თამარ ცბიერის, რუსუდანის, კინტოს ნიჭიერი ასრულებით, განსაკუთრებით ცეკვით იზიდავდა და ჰხიბლავდა.

დიადია და ბრწყინვალე ეს ხანა ჩვენის თეატრის აღორძინების ისტორიაში.

ქეთო ტფილისის სცენაზე მოღვაწეობდა 10 წ.

ამის შემდეგ პროვინციაში დაიწყო მუშაობა: ქუთაისი, თელავი, ოზურგეთი, ბათომი და სხვ. იცნობენ მის მადლიან ნაკვალევს სასცენო და საზოგადოებრივ ასპარეზზე. 1903 წ. ბაქოს მოიწვიეს, სადაც ხშირად მართავდა წარმოდგენებს საქველმოქმედო მიზნით: პარტიულ-პოლიტიკურ საჭიროებისთვის (ალ. ჯაფარიძის, ის. რამიშვილის დავალებით), აგრეთვე ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად და სხ. ამ წარმოდგენებში მუდამ უფასოდ მონაწილეობდა. (სარევოლიუციო მიზნით გამართული წარმოდგენებისთვის ნიკოლოზის ჟანდარმერიამ დაადუხჭირა კიდეც). აქ დაარსა ქართველ ქალთა წრე, რომლის დახმარებით იზრდებოდენ ღარიბ-ღატაკთა ბავშები. აქვე დაარსა უფასო სამკითხველო. ბაქოდან იწვევდენ საგასტროლოდ კავკავს, ტფილისს და სხ. გასაბჭოების დღიდან ველისციხის სახ. თეატრს ხელმძღვანელობდა. ამჟამად ჩვეულებრივის ხალისით განაგრძობს საყვარელი საქმის—სცენის სამსახურს დრამ. კოლექტივში, აგრეთვე კინოში. საყურადღებოა მისი ცეკვა—ლეკური. დღეს, როდესაც უცხო სკოლათა გავლენით ჩვენებური ნამდვილი ცეკვა გადავარდა, ურიგო არ იქნება მისი ცეკვის განახლება-აღდგენა.

**იოსებ არიმათიელი**

# მთვარე

საამური საღამოა. გაზაფხულის სუნი ტრიალებს, აივანზე დაყრდნობილი, გატაცებით ვუმზერ ვარსკვლავებით მოჭედილს ცას, მთვარე კაშკაშებს ვით კეკლუცი პატარძალი. გამიტაცა ბუნების სიმშვენიერემ. იქვე აივნის მოაჯირზედ ამომჯდომია ჩემი მეგობარი კატა, კრუტუნებს ტკბილად, თითქოს ისიც მოხიბლულია დიდებული ბუნების სანახაობით და თავის აღტაცებას კრუტუნით გამოსთქვამს.

ჩაფიქრებულს უნებურად მაგონდება ჩემი წარსული, სოფელში ცხოვრება, ჩემი მეგობარი, მისი სიღარიბე: ისიც ჩემსავით ობოლია, ყოველ თავის დარდს მე მიზიარებდა ხოლმე. დიდი ხანი არ არის რაც გაიგე, რომ ის გულკეთილს ნათესავს წამოუყვანია ტფილისში, და ერთერთ საბავშო სახლში მოუთავსებია. რა ბედნიერია! სწავლობს და, ვინ იცის, იქნება ოდესმე ნამდვილი ადამიანი გამოვიდეს. ოხ, რა კარგია სწავლა, მაგრამ არ მაქვს საშუალება.

ბედმა დამჩაგრა, უდროვოდ დამიხოცა დედ-მამა. რამდენს არა აქვს ნიჭი და ძალათ ასწავლიან; რამდენს სურვილი აქვს სწავლის, მაგრამ ცხოვრება ხელს არ უწყობს... ოხ, ცხოვრებავ! რატომ ერთნაირად არ აკმაყოფილებ ყველას.?!

**მარო კეჩხუაშვილი.**

## ქალწულეჩი მწვერვალიდან

ქარი წაბლისფერ მწვერვალებს არწევდა,
დაფნები მოჰქონდა ვენერა მილოსელს,...
დაჰქროდა ღრუბლებში ცისფერი არწივი,
ჰაერში აბნევდა ოქროსფერ მიმოზებს...
ეს იყო სიფითრე ალერსის დაწურვით,
სიზმრები სცვიოდა ზარების რეკიდან,...
პლანეტებს დაჰყავდათ წისფერი ქალწული
და თმეზე ყვითელი კომეტა ეკიდა...
ისმოდა მუსიკის გრძნეული ჩურჩული,
ღამეებს მთვარე თვალებით ადნობდა,
ქალწული იდგა მწვანით მოფარჩული,
და ლოცვებს კანკალით წყაროსთან ამბობდა...
სიზმრებათ წაიღო უმანკო ძიებამ
იებზე დაღვრილი ქალწულის სინაზე,...
დაიბნა ღამეში ყვითელი მძივები
და თეთრი არწივი გაფრინდა დილაზე..
ქალწულს უნდოდა ძიება ეხილა,
ცრემლებით აჰკურა ეკლების ბორცვები..
გაფრინდა ფიქრები ცისფერ ქარტეხილათ,
გადატყდა სანთელი და დადნა ლოცვები...

**ვანლერ დაისელი**

მზის შადრევნებში
დამღრჩვალი დილა...

## ნოე ჩხიკვაძის ლექსი *)

**ვალიკოს**

შენს „ალბომში“ ყველა მუზებს მოუყრიათ თავი
და საცოდავ აპოლლოსთვის გაუძვრიათ ტყავი.
სადაც იყო და არ იყო სისულელის ბოდვა,
ყველა აქ ჩაუნთხევიათ როგორც ძველი ცოდვა...
მე რა გითხრა, რა გიმღერო, ჩემო მეგობარო,
რომ ამ ულვთო მგოსნებისგან გიხსნა, მოგეხმარო?
გირჩევ მხოლოდ: შრომა, ბრძოლა, ძმობა, სიყვარული,—
მიზნად გრწამდეს, თუ გსურს ჰპოვო ქვეყნად სიხარული·
ეს ქვეყანა უკუღმართად არის აგებული,
მაგრამ მუდამ ბოროტება რჩება წაგებული!
ის-კი, ვინც რომ შემეცნებით ჰპოვებს აზრთა შვებას,
თავის თავში დაიმკვიდრებს სრულქმნა—უკვდავებას.
შენ თუმ, ცმაო, ვაჟარი ხარ, მაგრამ რადა ჰგონებ,
რომ სიკეთე-სათნოებას ვერვის ჩააგონებ?
არა! გქონდეს ვაჭრის ხელი, მაგრამ სათნო გული,
და მარადის შიგ ჰყვავოდეს წმინდა სიყვარული!
და როდესაც, ჯერ ჭაბუკი, განვლი ღუხჭირ გზასა,
მაგრამ მაინც არ უმუხთლებ შენს დაჩაგრულ ძმასა,
მაშინ მოვალ და გიმღერებ უკვდავების ნანას,
და გაიგებ ახალ ყოფნის ახალ გამოცანას..

**ნ. ჩხიკვაძე**

---

*) მის ლექსთა კრებულში არაა შესული. მოგვაწოდა ა. სხვიტორიძემ. რედ.

---

გასულ კვირას ტფილისში გარდაიცვალა ორი მოღვაწე—ერთი **ალექსანდრე (საშა) ნიკიტინი** (1864—1925), ნიჭიერი ფელეტონისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი, რომელიც 90-იან წლებიდან თანამშრომლობდა ქართულსა და რუსულს ჟურნალ-გაზეთებში. აქვს ნათარგმნი რამდენიმე პიესაც. მეორე—კომპოზიტორი **ანდრია ყარაშვილი** (1857—1925), ეს პირველი შემქმნელი ქართულ სასკრიპკო მუსიკალურ ნაწარმოებთა. დასწერა ფორტეპიანისთვის ქართული ჰანგები, რომანსები და სხ. უმეტესობა მათგანი ცალკეა გამოცემული.

ორივემ დიდი სამსახური გაუწია ჩვენს საზოგადოებას. სამარადისო ხსენება ძვირფას მოღვაწეთა ხსოვნას! დაწვრილებით შემდეგ.



## ჭიათურის რონოდის მტვირთავ მუშათა დრამატიული წრე და გუნდის ნაწილი

ჭიათურის მუშათა დრამატიული დასი შესდგა 1923 წ. რონოდის მტვირთავ მუშათაგან. დასში მუდმივად მონაწილეობს 46 კაცი და ქალი. ხელმძღვანელობს მსახიობი იანგო აპტალიდი. ქართული წარმოდგენა გაიმართა 1923 წ. ქრისტიშობის 18 (დღემდე სულ 25: 10 უფასო, 13 ფასიანი, 70—10 კ. 1 საქველმოქმედო). წარმოდგენა იმართება ყოველ სამშაბათს აკადემიურ თეატრში. ხალხი მუდამ ხალისიანად ესწრება. კულტკომისიის გამგეა ამხ. ისაკო მიქაძე. აქვე არსებობს მუშათგან შემდგარი მომღერალთა გუნდი სანდრო კავსაძის ლოტბარობით და სასულე საკრავთა ორკესტრი ილია ქარსილაძის ხელმძღვანელობით (რომელმაც დიდი უნარი და უანგარობა გამოიჩინა: მუშებს ნოტებზე სიმღერა შეასწავლა. ზემორე სურათი გადაღებულია „ქართველი დედა“-ს წარმოდგენის დროს (1924 წ. აპრ. 17-ს, უფასოდ, კონფერენციის საპატივსაცემლოდ). წინა რიგზე მსახიობ მონაწილენი როლებში, უკან—გუნდის ზოგიერთი ნონაწილენი. აქ არიან კულტგანი ს. მიქაძე, ლოტბარი სან. კავსაძე, რეჟისორი იანგო აპტალიდი და სხ.



**გიორგი ჯაბაური.**

სახალხო თეატრის საძირკველის ერთი ჩამყრელთაგანი მისი 35 წ. სასცენო მოღვაწეობის შესრულების გამო. ამ ჟამად იმუშავებს „სახალხო თეატრის ისტორია“-ს.



**იანგო აპტალიდი**

ჭიათურის მუშათა დრამატიული წრის ხელმძღვანელი

* * *

ყოვლად სრულ ქალწულს ედარები სამშობლოვ ჩემო,
სატრფიალოვ და სათაყვანოვ, ლტოლვილთა მცველო!
ზურმუხტ-ნაქარგო, მწვანე მდელოვ, სურნელო სფერო,
ტურფავ, კეკელა, მშვენიერო, ბულბულად მოქმელო!
როდის იქნება დავთვრე შენით, შენ შარბათ-ლალო,
ნაირნაირო, შენ ჭალაკო, მაღალო მთანო,
ედემის კუთხევ, მომხიბლელო, გედივით წყნარო,
იადონთ სუნბულთ შენ სავანევ, შე ქვეყნის თვალო!...

**დავით გურჯანელი-დათუკიშვილი**

# „საკრაშჩენიე“

(გურული სცენა) *)

„უბედურ კაცს ქვაი აღმართში მიეწიაო“, რომ იტყვიან, ისთე დამემართა სტორეთ. გადამეკიდა ქალი, ქარმეხმა დაანგრია მისი გამომცემელის ვოჯახი, დამიწყო ჩხუბი: წადი თბილის ქალაქს: ყოლიკაცი იქინეა, ყოლი კაცმა იქინე იშონა კამისრობა და ნაჩალნიქობა, ეგები შენც ქნა სიკეთე იშონო რამე ადგილი და აი ბაღნები რომ ქვეყნის საშინელათაა დაშიშვლებული და მეც რომ ნაკაზევი არ მაცვია, რამე მოგვიხერხეო... სულო ცოდვილო, მეც ქე დუუჯერე და ჩამეველი ქალაქში.

მიველ ერთ სალაკაი, ვითხუე ადგილი და ასთე მითხრეს: აქანე ძამია „საკრაშჩენიე“ იყო და ორმოცდაათი კაცი დეითხუეს ადგილიდანო, მორე ადგილზე წეველი, იქინეც აგი მითხრეს: ჩვენთან ამ კვირეში „საკრაშჩენიე“ იყო და სამოცზე მეტი მუშა დეითხუეს სამსახურიდანო, წეველი მესამე სალაკე—იქინეც აი ამბავი დამხვთა; ერთი სიტყვით სადაც არ მიველი, ყოველგან აგი დასაღუპავი „საკრაშჩენიე“ ყოფილა! დედა! გადვირიე კაცი, ვინ უნდა იყოს აი ვოჯახ-დასაქცევი? თუ კომუნისტია, მუშებს რავა ითხოვს ადგილიდან და თუ კომუნისტი არაა, მაგის ნებას რაფერ აძლევენ, რომ მუშებს გარეთ უსაქმოდ ყრის მეთქი? მერე შემხვდა ერთი ჩემი ნაცნობი და ვკითხე: თუ ძმობა გწამს, ერთი გამაგებიე ვინაა ან რა რჯულია აი „საკრაშჩენიე“, რომ ამდონ უბედურობას ათენებს ამ მუშებს,—ვინცხაა, მაგი ქართველი არ უნდა იყოს მეთქი. — არა კაცო! მაგი არც ქართველია და არც რუსი, მხოლოდ რუსული სიტყვაა: „საკრაშჩენიე“ შემოკლებას ნიშნავსო.—შემოკლება რაღაა მეთქი?—შემოკლება როგორ არ იცი კაცო; მაგალითად ხეი რომ მოშჭრა სახლის სათავეზა, დვიროიზა ანდა ხიდიზა ღელეზე გასადებად: თუ ძაან გრძელია, თავს ან ბოლოს ხომ მოჭრი, დაამოკლებ. აა ამას ქვია შემოკლება, ესე იგი „საკრაშჩენიე“ო.

— არა ,ძამია, არა, არც ადგილი მინდა და არც თქვენი „საკრაშჩენიე“. ეგება მეც მოვხვდე მაგ საკრაშჩენიაში და სახლის დვიროსავით თუ დამამოკლეს, კას ამბავს კი ჩუუტან ჩემს ცოლშვილს სახლში მეთქი და დავაპირე შინ წასვლა.

გეველი ვაგზალზე, ჩავდექი ვეჩერედში, ბილეთიზა, მარა ვაი შენს გოგიას: მევისე ჯიბეზე ხელი, სადათაა შენი ფული? დევიწყე ტირილი, ყვირილი, მარა ვინაა პატრონი, მოხმარების მაგიორ ზოგიერთმა ყაშმიერობა და ყპაის ქცევა დამიწყო. ერთმა მითხრა—ბიძია ფული თუ გქონდა ვეღარ მუუარეო? მეორემ თქუა: ამას აქანე ჯიბის „ჩისტკა“ უქნესო, მესამემ მითხრა „საკრაშჩენიე“ მოახდინესო.

რა ვქნა ახლა, მევიცადო, რა გავაკეთო. წევიდე და სა მიხვალ უბედურო, ვინ გაგიშობს. გადავწყვიტე: თუ გინდა რომ საციმბიროთ გავხდე, ამ პოეზით მაინც უნდა წევიდე. დაჰკრეს ზარი, გაალეს კარი და მეც გავძვერი, მარა პოეზში ასვლა არ გინდა? მივარდი ერთ ვაგონთან ჩამომაგდეს ძირს: სა მიხვალ აგი ფოშტის ვაგონიაო, მეორე—შტაბისაო, მესამე—სლუჟისტებისაო, მეოთხეში ბილეთი მომთხუეს და იქიდან ქე მიქნეს წოწი. ვიბზუალე იქით-აქით, ვერც ვინმე ნაცნობი ვნახე და ასე უპატრონო და უკაპეიკოთ დავრჩი, მარა ჩემს ბედზე გევიხედე და ამ „პოეზის“ ბოლოზე „რაბოჩი ვაგონი“ დევინახე მიმბული. მიველი, შევიხედე შით და კაი დიდი კუბოა გაგძელებული. ა, ბიჭო, გოგია, თუ ვარგხარ, შეიპარე შით და გეშველა; ბევრი აღარ მიფიქრია, ევიწიე წინ და შევარდი ვაგონზე და ამ დროს რკინის გზის მილიციონერმა უკანიდან მომაძახა: „სა მიხვალ, კაცო, შენ? მაქანე ვერ ხედავ მიცვალებულსო?—ძამი ხომ არ გადირიე შენ, რავა მიცვალებულს ჭირისუფალი არ უნდა მეთქი? ამითი მილიციონერი ქე გავაჩერე. მარა თვალს მაინც არ მაშორებს და მეც მინდა დავამტკიცო, რომ ნამდვილი ჭირისუფალი ვარ და ამით თლად უნდა მევიშორო თავიდან. მეტი გზაი არაა უნდა ვიტირო აი სხვისი მკვდარი, მარა რანეირად: სახელი არ ვიცი და გვარი, ქალია, კაცია, მოხუცებულია, თუ ახალგაზრდაა, არც აგი ვიცი, მარა მაინც დევიწყე ტირილი „ვაი ჩემს მოსწრებას, რა მიქენი აი შენი ჭირიმე, რეიზა დამიქციე ვოჯახი მეთქი“.

მილიციონერმა იფიქრა, ვინცღაა აგი მართლაც ჭირისუფალი უნდა იყოსო და ქე წევიდა, მარა სტორედ ამდროს ნამდვილი ჭირისუფალი ამევიდა, დამადგა თავზე და მითხრა:

— ძამია, აი მიცვალებული შენი არ გეგონოს ჩემიაო.

— გყავდეს ძამია, მოგახმაროს ღმერთმა. აგი ერთი და სხვაი ათასი, ჩემსას ცოცხლები მეხოცება შიმშილით და მკვდარი რა ეშმაკად მინდა-მეთქი.

უუხსენი ჩემი გაჭივრება და შევეხვეწე, ქენი წყალობა, აი ვაგონი მაინც ნაქირავები გექნება, ვითომ მეც ჭირისუფალი ვარ, მიცვალებულსაც გიტირებ და წამიყვანე მეთქი. ძაან კაიო, მითხრა, მაინც მარტუე ვარ და პირდაპირ ნიგოითამდი ჩაგიყვანო.

მერე მომიყვა და მელაპარაკა მისი თავგადასავალი: აგი მამაა ჩემიო, ეიჩემა მაიდამაინც ქალაქში წამიყვანეო, „აპელაციე“ უნდა გავაკეთებიო და გავახალგაზრდავდეო. ჩამევიყვანე აქანი, უქნეს „ოპერაციე“, ამოაჭრეს, იგი მე და შენ რომ ვიცით, ვერ გამოვიდა „უდაჩნათო“ და გაახალგაზრდავების მაგიორ ქე ხედავ რაც დაემართაო... ბაბა რა მიქენი აგი, რეიზა დამღუპე, რეიზა, წეიწყმინდე სულიო, მე აქიდან მუუტირე: სული წეიწყმინდა კიარა სწორეთ ახლა იცხონა-მეთქი: აგი რომ აქანეი არ მომკვდარიყო, მე შიმშილს რომ არ მოვეკალი ამ „საკრაშჩენიეს“ მაინც ვერ გადაურჩებოდი მეთქი!

**რ. ჯიბილ**

(რაფიელ ჯიბლაძე. გარდაიცვალა 1924 წ. ნოემბრის 9)

*) ეს სცენა აღმოჩნდა განსვენებულ რ. ჯიბლაძის მრავალ ხელთნაწერთა შორის. განზრახულია მის გურულ სცენების ცალკე გამოცემა.



**მსახიობი მიხ. სულთანიშვილი**

ლენინის სახელობის სალიანდაგო ნაწილის კლუბის დრამწრის ხელმძღვანელი. სცენაზეა 1914 წლიდან. მუშაობდა ქუთაისის, ავჭალის, სოხუმის სც., აგრეთვე სამხედრო ნაწილებში, მსახიობ-ხელმძღვანელად, გარდა ამისა საგარეჯოს მიდამოებში—თეატრის ინსტრუქტორად.

# უკანასკნელი წუთები

(წარსული ცხოვრებიდან)

**დრამატიული ეტიუდი ერთ მოქმედებათ.**

ძღვნად ალ. ჯაყელს.

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

**ბაგრატ განწირულიძე**—ტუსაღი. გადაწყვეტილი აქვს სიკვდილით დასჯა, ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე.

**მღვდელი**—შუახნის. ჩასუქებული, ჭაღარა-ნარევი.

**ციხის უფროსი**--მკაცრი გამომეტყველების, ჭაღარა-ნარევი

**მეკარე**

**ტუსაღი**

**მეკარეები, ჯარისკაცები, ზედამხედველები.**

მოქმედება ციხეში.

საკანი ერთი დაბალი რკინის კარით, სარკმელით და პატარა ფანჯარით. ოატაკზე მოფენილია რუსული საბანი (არმიაკი) და თივიანი ლეიბი (მატრასი). კედელზე პატარა თაროზე ჩამოდგმულია ლამფა. გვერდზე დგას „პარაშკა“ და ტაბურეტი.

**განწირულიძე** (წამოწოლილია და პაპიროსს ეწევა).

**მეკარე** (შემოდის ჩუმად ფეხაკრეფით) რამდენჯერ გაგაფრთხილე პაპიროსს ნუ ეწევი მეთქი! შენზე არა სჭრის ჩემი განკარგულება. (გამოგლეჯს პაპიროსს) თუ კიდევ გაგიბედნია—კარცერში ჩაგსვამ.

**განწ.** ხა, ხა, ხა, რა სასაცილოები ხართ! მე სიკვდილით დასჯა მაქვს გადაწყვეტილი, შენ-კი კარცერით მემუქრები; მე ყოველ წუთში სიცოცხლის აღსასრულს მოველი, შენ კი ამ დროს ვითამ რაღაცათი მაშინებ! (წამოჯდება) ერთი მითხარი, რას გიშლის მე რომ პაპიროსი ვწიო: ნუ თუ ამით ქვეყანა დაიქცევა ან და შენი მბრძანებლის ტახტი ყირამალა გადატრიალდება?!

**მეკ.** კანონი დაირღვევა და უფროსები გაიგებენ, მე კი არა მსურს შენი გულისათვის სასჯელი მივიღო. კანონი ყველასთვის კანონია.

**განწ.** მერე ვინ გააგებინებს შენს უფროსებს, თუ არა ისევ შენ?!

**მეკ.** ეგ შენი საქმე არ არის, გეუბნებიან ნუ მოსწევო. შეასრულე. მორჩა და გათავდა, წამოდექი; (განწ. დგება) გასწორდი, ხელები ასწიე (ჩხრეკს, შემდეგ უჩხრეკს სასთუმალს და თამბაქოს გამოიღებს). დასწყევლოს ღმერთმა საიდან გაუჩნდებათ ხოლმე ამ წყეულებს ამდენი თამბაქო. უფროსმა რომ ნახოს მე უნდა დამსაჯოს, არა ეგ ვერ მოგართვეს.

**განწ** გეუბნები, შენ ნურავის ეტყვი და ისე კი არავინ გაიგებს.

**მეკ.** ხმა, კრინტი. გეუბნებიან, გიბრძანებენ და შენი ვალდებულება არის უსიტყვოთ შეასრულო. მე მეტი არაფერი ვიცი.

**განწ.** რისთვის უსიტყვოთ, განა მე ადამიანი არავარ?!

**მეკ.** ეგ კი ჩემი საქმე არ არის... (გადის და გადაიკეტავს კარებს).

**განწ.** (წამოწევება ამოხვნეშით) „შენი საქმე არ არის“,—აი მოკლე პასუხი, რომელიც ახასიათებს იმ კანონს, რომლის დაცვისთვის ეგრე ზრუნავს ეგ უბადრუკი ქმნილება. როდესაც უდანაშაულო ხალხს ათასობით, ათიათასობით აწამებენ და შეეკითხები: რისთვის სჩადიხარ ამასო, გეტყვიან: შენი საქმე არ არის! როცა გაჭირვებისაგან წელში მოხრილი ხალხი შველას სთხოვს მათ, მაშინ იტყვიან, ჩვენი საქმე არ არის და თუ ამ უსამართლობის წინააღმდეგ ხმა ამოიღე, სიკვდილით დასჯას გიწყვეტენ, სიცოცხლის წართმევით გემუქრებიან, ამდროს აღარ კითხულობენ არის ეგ მათი საქმე თუ არა! (პაუზა) გაეგებათ რამე სიცოცხლის ღირებულების, იციან კი რა არის სიკვდილი?! როდის, როდის მოელება ბოლო იმ უსამართლობას, რომლის დამსხვრევისათვის უამრავი ხალხი სწირავს თავს. (პაუზა) და მეც ხომ ამის მსხვერპლი ვარ. მერე რისთვის?! იმისთვის, რომ უსამართლობას ვამხელდი და უსამართლობის ჩამდენთ, მტანჯველებს და სისხლის მსმელთ ხალხს თავიდან ვაცილებდი... ამისთვის, დიახ ამისთვის... (პაუზა) იმის ხაცვლად რომ გასწორდენ, სიკვდილით მსჯიან მე და ბევრს ჩემს ამხანაგებს, მაგრამ ერთხელაც იქნება შურისძიების ღმერთი გალესავს მახვილს და სასტიკი იქნება მახვილის მოქნევა მათთვის. მართალია ჩემი მძოვრი ამას ვერ გაიგებს, მაგრამ სული, ის სული, რომლის არსებობაზეც ეგრე ბევრს ლაპარაკობენ, ყოველივეს შეიმცნობს.

**მეკ.** (შემოდის) სმენა..ა..ა. (ტუსაღი წამოდგება)

**მღვდელი** ეს არის?!

**მეკ.** დიახ, ეგ გახლავთ, მამაო! (ხელს აულებს)

**მღვ.** (ჩამოჯდება სკამზე) კარგი, მარტო დაგვტოვე, შეგიძლია წახვიდე.

**მეკ.** (ხელის აღებით) მესმის! (მიდის, კარებს გაიხურავს)

**მღვ.** სიკვდილით დასასჯელი განწირულიძე შენა ხარ?

**განწ.** მე გახლავარ.

**მღვ.** ალბათ დიდი დამნაშავე უნდა იყო, შვილო ჩემო, რომ კანონმა ასეთი სასტიკი სასჯელი გამოგიტანა. მართალია სული შენი უნდა გაშორდეს სხეულს, მაგრამ

სახელი მტვერია და იგი მტვრათვე იქცევა, ხოლო სულს უნდა შველა, ამიტომ აღსარება მართლაც მიიღე წმინდა ზიარება და შემდეგ კი აღვავლენ ლოცვას უფლისადმი, რათა მან შეგინდოს შეცოდებანი შენნი.

**განწ**. ტყუილად გასჯილხარ მამაო. (გაივლ-გამოივლის) მე რომ სიცილის მადაზე ვიყო, უსათუოდ გულიანად გადვიხარხარებდი: ადამიანს სიცოცხლეს ართმევენ და შემდეგ მისი სულის ცხონებისათვის ზრუნავენ. ბედის დაცინვა, უკბილო დაცინვაა.

**მღვ**. მაგრე ნუ მსჯელობ, შვილო ჩემო, კანონი ყველასთვის კანონია, დამნაშავე კანონით ისჯება, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა სული შენი შევავედროთ ზეციერ მამას, რომ საიქიოს იგი არ მისცეს უსაზღვრო წამებასა და ტანჯვას.

**განწ**. მერე ვინ არის დამნაშავე, როგორ ესმის ეს თქვენს კანონს, რომელსაც მფარველობს ნაზარეველის ჯვარი და მისი მოციქულების დაწერილი სახარება?

**მღვ**. მაგაზე ლაპარაკი ჩვენ შორს წაგვიყვანს, უკეთესია, შვილო ჩემო, ქედი მოიდრიკო წმინდა სამების წინაშე...

**განწ**. არ გსურთ პასუხის მოცემა?! კარგი, მესმის თქვენი მდგომარეობა. ჩემის სულის ცხონებისათვის ნუ სწუხდებით, თუ ადამიანის დანაშაული იმდენათ მძიმეა, რომ სიკვდილით ისჯება და მისი მსგავსი ადამიანები სხვა საშვალება ვერ პოულობენ, სხვა გზას ვერ ადგებიან, მისი სულის ცხონებისათვის ზრუნვა ზედმეტია, დეე, საიქიოსაც ეწამოს და ასეთის წამებით გამოიყიდოს დანაშაული. მხოლოდ თუ სიმართლისათვის კვდება ადამიანი, ამას თვით ზეციური ძალები, თუ იგინი მართლაც არსებობენ, თვითვე განსჯიან.... ამიტომ მე თქვენი შუამავლობა არ მინდა, მე ჩემი რწმენით, ჩემი ნამოქმედარით წარვსდგები თქვენი წმინდა სამების წინაშე სრულიად უშუამავლოდ, სრულიად უშიშრად.

**მღვ**. ამდენი დანაშაული ჩაგიდენია, ჩემო სულიერო შვილო, და ამ უკანასკნელ წუთებში მაინც ნულა შესდებ ღმერთს, დაემორჩილე ბედს, მითხარ აღსარება და მიიღე წმინდა ზიარება.

**განწ**. (ჩააშტერდება თვალებში და შემდეგ ნერვიულათ) სტყუით წმინდა მამაო, სტყუით... ვინ აცის თქვენ და იმათ ვინც თქვენ, აქ, ჩემი სულის საცხოვნებლად გამოგგზავნათ რამდენი მეტი ცოდვა ჩაგიდენიათ, და ცოდვა იგი დაფარული დარჩენილა... მაგრამ ამას თავი დავანებოთ, მომშორდით, გამეცალეთ, მომეცით საშუალება მცირე ხნის სიცოცხლით ისე ვისარგებლო, როგორც მე მსურს, არ მინდა ძალით ცხოვნება...

**მღვ**. ნუ სცოდავ მეთქი, შვილო, ღმერთს, გეუბნები და შეისმინე, აღიარე შენი ცოდვები, რომლის ჩადენამაც კანონი იძულებული გახადა თავის სიმკაცრე გამოეჩინა.

**განწ**. ცოდვები. რომელი ცოდვები, რაებს ლაპარაკობ?! აბა ყური დამიგდე შემდეგ კი წრფელის გულით და საღის გონებით განსაჯე: ვარ თუ არა დამნაშავე... ამ რამდენიმე წლის წინად ჩვენს სოფელში იყო მამასახლისი, რომელიც ყველას ძლიერ აწუხებდა, ქრთამს იღებდა, თვრებოდა, შემდეგ კი შეუვარდებოდა უიარაღო, მიუსაფარ ხალხს, მათრახის ცემით აწიოკებდა და ხშირად მათ ცოლ-შვილსაც აუპატიურებდა. იყო შემთხვევა, როდესაც ნაცემ-ნაგვემი გლეხი ხეზე მიაბა და მის თვალწინ ცოლი გაუუპატიურა, შემდეგ შეშინდა საქმის გასაჩივრების, რისთვისაც იმ გლეხს შარი მოსდო და ციმბირში ამოაყოფინა თავი. ხალხმა მას უჩივლა რამდენიმეჯერ, მაგრამ უმაღლესი მთავრობა ხელს აფარებდა, ვერაფერმა გასჭრა. ხალხის გულშემატკივარ ამხანაგების დავალებით მე იგი დავსაჯე და თქვენს ღმერთს საიქიოს გაუგზავნე მისი სული. აბა, სთქვი: ვარ დამნაშავე?! (თვალებში ჩააშტერდება).

**მღვ**. (წვერებზე ხელის დასმით) ადამიანის სისხლში ხელის გასვრა ძნელი საქმეა, შვილო ჩემო.

**განწ**. მართალია, ძლიერ ძნელი საქმეა ადამიანის სისხლში ხელის გასვრა, როცა სისხლი იგი წმინდაა; მაგრამ ბინძური სისხლი საშიშროებას არ წარმოადგენს. აბა, ყური მიგდე, განმანთავისუფლებელ მოძრაობის დაპარცხების შემდეგ, ჩვენი მაზრის უფროსი გაათრდა, ბრალიანი და უბრალო ყველა ციხეში ამოალპო, ბევრი მათგანი ციმბირში გაგზავნა და ბევრი როგორც ყაჩაღები ისე დახოცა გაუსამართლებლად, მათი ოჯახების უმრავლესობა დუხჭირ პირობებში ჩავარდა, ბევრმა მათხოვრობაც კი დაიწყო: ესეც მამასახლისის გზას გაუყენე და ზიარება მომაკვდავის სარეცელზე მივაღებინე; კიდევ ბევრი, ბევრი ამისთანა ჩამიდენია, აბა, გულახდით სთქვი, ვარ დამნაშავე?! მე კი ვფიქრობ, რომ არა ის. ვინც ჯალათს ხალხის მაწამებელს დედა-მიწის პირიდან აღგვის, იგი არ არის დამნაშავე, რადგან წმინდა გრძნობებით მოქმედებს და ხალხს აძლევს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას.

**მღვ**. (ჩამოჯდება ლოგინზე) ადამიანის მოკვლა, უდიდესი დანაშაულია, შეგინდოს ზეციერმა მამამ, განაგრძე, სთქვი ყველაფერი.

**განწ**. მეტი ლაპარაკი საჭირო აღარ უნდა იყოს. მე შენგან პასუხს ვერ მივიღებ, თუმცა ეგ პასუხი დიდს საჭიროებას ჩემთვის არ წარმოადგენს.

**მღვ**. პასუხი, შვილო ჩემო, ჩემი საქმე არ არის, ეგ კანონის საქმეა.

**განწ**. მაშ რა გსურს, კიდევ განვაგრძო ამბის მოყოლა, ეგ, ვიმეორებ, მეტია. მხოლოდ რომ დაგამშვიდო, გეტყვი: მე ბევრი, ბევრი ასეთი საქმე ჩამიდენია...

**მღვ**. (გააწყვეტიებს გამკილავათ) კი, მაგრამ, ნუ თუ შენ მარტო მოქმედებდი, არავინ გეხმარებოდა, სთქვი, შვილო, სიმართლე, ცოდვა შეგიმსუბუქდება.

**განწ**. (წამოჯდება და ხმამაღლა) როგორ, ახლა, ჯაშუშიც გინდა გამხადო? არა, ეგ ვერ მოგართვეს, წმინდაო მამავ, ეგ რომ ყველაფერი გითხრა ცოდვა კი არ შემიმსუბუქდება, არამედ ისე დამიმძიმდება, რომ დღეში სამჯელაც რომ მივიღო შენი მოტანილი ზიარება მაინც ვერ ვზიდავ... (პაუზა. წყნარათ) არა, ვერ გეტყვი, ეგ ჩემი გულის კუნჭულში სამუდამოთ ჩამარხული უნდა დარჩეს.

**მღვ**. აღსარება, ეგ საიდუმლოებას შეადგენს სულიერ მოძღვრისას.

**განწ**. (დაცინვით) ვიცი ყველაფერი, ვიცი, მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

**მღვ**. როგორ, მე სულიერ მოძღვარს შეურაცყოფასაც მაყენებ?.

**განწ**. ამ შემთხვევაში მთავარია სინდისი, თუ სინდისის წინაშე მართალი ხარ, თავი დანაშაულადაც აღარ უნდა იგრძნო.

**სერ. გერსამია.**

(გაგრძელება იქნება)

# ჩვენებური იუბილე

(პატარა ფელეტონი)

მთელ დედამიწის ზურგზედ რომ იმდენი იუბილე არ გამართულა რადენიც მარტო საქართველოში და კერძოთ ტფილისში, ამას ამტკიცებს ქვემოთ მოყვანილი უტყუარი სტატისტიკური ცნობები:

1925 წ. განზრახულია ტფილისში გაემართოს იუბილე 554 არტისტს, 654—სცენის მოყვარეს, 456—მწერალს, 871—პოეტს, 643—პედაგოგს, 953—მოქანდაკეს, 567—კარიკატურისტს, 673—ექიმს, 930—რეცენზენტს, 757—მოლეკურეს. სულ 7068 ეს რიცხვი ჩვენი ტერიტორიისათვის არაფერია. მეც ერთი ამ ზემოთ დასახელებულ იუბილიართაგანი ვარ. მეც მსურს **გავიმართო** ჩემი $3^1/_2$ წლის მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილე, რომ ერთი-ორი შაური მოვიგო. მაგრამ ჩემდა სამწუხაროთ გავიგე, რომ ხშირათ დამპირებლებს დაპირებული ავიწყდებათ; მაგალითისათვის შორს არ წავალთ 1924 წ. 30 მარტს რუსთაველის თეატრში და 6 აპრილს ამავე წელს სახალხო სახლში, ნიკო გოცირიძეს გაუმართეს, სცენაზედ 30 წელს მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილე მაგრამ ზოგი ერთი რამ დაპირებულთაგანი აუსრულებელია. მე, როგორც იუბილეს მომლოდინეთაგანი, უმორჩილესათა გთხოვთ ზოგი ერთ კითხვებზედ ახსნა-განმარტება მომცეთ, რომ ყოველ შემთხვევისათვის წინათვე მომზადებული ვიყო, ათა ნიკო გოცირიძესათვის ხახა მშრალი არ დავრჩე.



**ქ-ნი ჟურდენ**
(„გააზნაურებული მდაბიო“),—
**ნატო ჯავახიშვილი.**
ნახაზი ალ. ციმაკურიძისა

**შეკითხვა I:** ვ თ ქ ვ ა თ იუბილე მქონდა რუსთაველის თეატრში 1924 30 მარტს.

ვ თ ქ ვ ა თ შემოსავალი კომისარის სიტყვით იყო 1000 მ. მოლარეს სიტყვით 992 მ. 25 კ. სადაც ეს ფული წავიდა (ნუ! ოპერის თეატრში)

ვ თ ქ ვ ა თ მითხრეს 888 მ. ვთქვათ მარიამობისთვეს მანგლისში მომცეს 625 მ. დანარჩენს არ იძლევიან. სულ ამბობენ: ხვალ, ხვალ. ხვალ. გთხოვთ განმიმარტოთ: მაქვს უფლება თუ არა, რომ ამნაირი მოპყრობით უკმაყოფილო ვიყო?

**შეკითხვა II:** ვ თ ქ ვ ა თ იმავე დღეს იმავე იუბილეზე სტუდიელ ლაღიძეს დაუნიშნეს ჩემი სახელობის სტიპენდია. ვთქვათ დღევანდლამდე (ბევრი არაფერია თერთმეტი თვე) არ მიუღია არც ერთი თვის ფული; ვ თ ქ ვ ა თ ამასაც ეუბნებიან: ხვალ, ხვალ, ხვალ. გთხოვთ განმმიარტოთ.—სტუდიელ ლაღიძეს უფლება ხომ არ აქვს, მე გადამახდევინოს ნარკომპროსის მიერ დაპირებული ფული?

**შეკითხვა III:** ვ თ ქ ვ ა თ 6 აპრილს 1924 წ. სახალხო სახლში გამიმართეს იუბილე (30 წ.); ვ თ ქ ვ ა თ რამდენიმე ხანისშემდეგ, მიველ გამგეობის ხაზინადართან და ვთხოვე ეჩვენებინა ანგარიში შემოსავალ—გასავალისა;

ვ თ ქ ვ ა თ ხაზინადარმა მითხრა: გამგეობამ დაადგინაო, რადგანაც შენ 28 წელიწადი სრულიად უსასყიდლოთ მუშაობდი ჩვენთანაო არას დროს არ ყოფილხარ დაინტერესებული ფულითო, და ხშირათ შენი ჯიბიდანაც გიხარჯიაო ამიტომ იუბილეიდგან შემოსავალი ფული მთლიანად გამგეობას ეკუთვნისო, და ვინაიდან ვიცით შენი კეთილი გულის ამბავიო, გვასესხე 200 მანეთი 5 პროცენტითო.

ვ თ ქ ვ ა თ რადგან შემოსავალზედ უარი მითხრეს მე მეწყინა და 200 მანეთი არ ვასესხე, გთხოვთ განმიმარტოთ: აქვს თუ არა გამგეობას უფლება ჯავრი მოუვიდეს იუბილიარის ასეთი მოქცევისა გამო

**შეკითხვა IV:** ვ თ ქ ვ ა თ ამავე იუბილეზე (სახალხო სახლში) კომუნალურ წყალთ სადენის მუშების სახელით დიდი „რეჩი“ მითხრეს (ადრესზედ დახატულია ქალი რომელიც იერიქონის „ტრუბით“ მთელ ქვეყანას აუწყებს)“ რომ ეს წყალსადენის მუშები მპირდებიან, ჩემი 30 წლის მოღვაწეობის გამო, დამიდგან „ვანა“, ფეჩი, ნიკელიროვანი არმატურით, ადგილობრივ მოწყობით, ვ თ ქ ვ ა თ მართლაც ორი კვირის შემდეგ მოვიდნენ მ. თუშმალიშვილი და ერთი სხვა, გაზომეს და სთქვეს, რომ ეს უბრალო საქმეა ერთ კვირაში მზათ იქნებაო, ვ თ ქ ვ ა თ მე სიხარულით, დავაპატიჟე ეს ორი მუშა, დავლიეთ სამი „კვარტი“ ღვინო, კარგი „ზაკუსკა“ და წავიდნენ. მას შემდეგ გადის ერთი წელიწადი და არც „ვანაა“, არც ფეჩი, არც ნიკელიროვანი არმატურა, ბოლოს გავიგე დანამდვილებით, რომ ჩემი „ვანისათვის“ უნდა გამოიყვანონ წყალი ნატახტარიდგან,რადგანაც ავჭალის წყალი, ქალაქის მცხოვრებლებსაც არა ყოფნის გთხოვთ განმიმარტოთ: მაქვს თუ არა იურიდიული უფლება, სათანადო განცხადებით შევიდე ლ. სუხიშვილთან ან დიასამიძესთან, ან ხოჯაევთან, ან ქურთიშვილთან ან წყალსადენის ადგილკომთან, რათა ვთხოვო, რომ მე არაფერი საწინააღმდეგო არ მექნება წყალი ჩვენს ეზოდან გამოიყვანონ, რადგან ნატახტარიდგან წყლის გამოყვანას სულ ცოტა თვე ნახევარი მაინც მოუნდება და მე კი ამ თვე ნახევარში „უვანოთ“ დავრჩები.

**შეკითხვა V:** ვ თ ქ ვ ა თ იმ დღეებში, რა დღესაც ეს იუბილეები იმართებოდა, პრესაში დიდი ხმაურობა იყო „ქუჩის უპატრონო ბავშვების თავშესაფარის დაარსების გამო“ ვთქვათ მე ვიფიქრე მოდი, სურათებს, რომელიც საიუბილეო კომიტეტი ბეჭდავს, გადავცემ ამ სიმპატიურ საზოგადოებას მეთქი და **ვსთქ ათ** გაუგზავნეთ 300 ცალი სურათი სხვადასხვა როლებში ამ მიზნით. **ვსთქვათ** გაუგზავნე ნინო ნაკაშიძეს.

ვ ს თ ქ ვ ა თ დღევანდლამდე ეს სურათები შკაფის თავზედ ან და სადმე, ხელ უხლებელი დევს. მე მაქვს უფლება თუ არა ესეთი სენსაციური ამბავი გაზეთის ფურცლებზედ გამოვაცხადო?

კიდევ მაქვს რამდენიმე შეკითხვა მაგრამ ეს შემდეგ.

**იუბილეს მომლოდინე.**

პასუხი იხილე შემდეგ ნომერში.

# სათეატრო მიმოხილვა

## იუზა ზარდალიშვილის

### 25 წლის იუბილე—ქუთაისში.

ღარიბია ქუთაისი—მაგრამ გულწრფელი!...

მას არ სჩვევია დიდი პათოსი, შიკი—მაგრამ მის უბრალო, სადა ყოფაქცევაში ჩაქსოვილია ღრმა სიყვარული და პატივისცემა...

ამგვარის გულწრფელობით შეხვდა ქუთაისი თავისი სცენის პრემიერის—იუზა ზარდალიშვილის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის დღესასწაულს 25 იანვარს.

ამ ლამაზ დღესასწაულს საერთოდ ვერ შეუშალა ხელი იმ სასტიკმა ზამთარმაც-კი, რომელიც იმ ჟამად ქუთაისში იყო. (ქუჩებში ორ არშინიანი თოვლი და დიდი ყინვები).

ბუნების ამ „რევოლიუციონურ გამოსვლებმა“ ვერ შეაკავა საზოგადოებრივი მისწრაფება, პატივი ეცა თავისი საყვარელი და ერთგული მსახიობისთვის!

ადგილობრივი ხელისუფლება, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მთელი მშრომელი ხალხი ერთსულოვნად იყო გამსჭვალული საზეიმო სულისკვეთებით...

დღესასწაული ამხ. ჯაჯუ ჯორჯიკიას სიტყვით დაიწყო, რომელმაც დაახასიათა იუზას პიროვნება და ფართოდ გააცნო საზოგადოებას მისი ბიოგრაფია.

საზეიმო სხდომა გახსნა და საყურადღებო სიტყვით მიმართა იუბილიარს ამხ. თ. ქუმბურიძემ. მან მიულოცა მსახიობს აგრეთვე ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტისა და ქუთაისის კომპარტიის სახელით...

მილოცვები იყო შემდეგ პირთა და დაწესებულებათაგან: ტფილისის აკადემიურ დასის წარმომადგენელ ამხ. ხორავასაგან, „დურუჯის“ კორპორაციის სახელით ამხ. ვასაძისაგან, ქუთაისის პროფესიონალურ კავშირის—ამხ. კობახიძისგან, გლეხკომის წარმომადგენელი ამხ. ახობაძისაგან, ექიმთა საზოგადოების, პროლეტარულ მწერალთა კავშირის, ქუთაისის მსახიობთა ამხანაგობის, მუსიკალურ სასწავლებელიდგან, ბაღდადის გლეხთა კავშირისაგან, რომელთაც მიართვეს იუბილიარს თვისი შრომის ნაყოფი რამდენიმე ვედრო ღვინო!...

იყო მილოცვები სხვა პირთაგანაც. იუბილიარს გადაეცა აგრეთვე ნივთიერი დახმარება, წარმოგზავნილი სახელმწიფო ორგანოთა და დაწესებულებათაგან. გამოქვეყნებულ იქნა მილოცვის დეპეშები ჩვენი ქვეყნის დაბა-ქალაქებიდან და რაიონულ ორგანიზაცებიდან. მილოცვა მოვიდა აგრეთვე მოსკოვის ქართული სტუდიის გამგე შალვა დადიანისგან. ზეიმის დასასრულ, წარმოდგენილი იქნა „კინის“ მესამე მოქმედება და შარჟი: „სოფლის ფერშალი“.

**ჯაფარ—ფაში.**

**დუშეთის თეატრში** თებერვლის 1 სცენის მოყვ. დრამ. დასმა ბორია ლითანიშვილის ხელმძღვანელობით წარმოადგინა ია ეკალაძის „ნომერი ოცდაერთი ჯვრით“ 4 მოქ. პიესას დამზადების მხრივ არა უჭირდარა, მხოლოდ სცენის სიღარიბის გამო ერთი და იგივე ოთახი და მორთულობა წარმოდგენას აფერმკრთალებდა. მონაწილეობდენ სცენის მოყვარეთა საუკეთესო ძალები, მარო აბრამიშვილმა საუცხოვოდ დაახასიათა გა[illegible]ოს სულისკვეთება: ნამდვილ რევოლიუციონერ ქალის გამბედაობა გამოხატა ლეონბერგის სიკვდილით დასჯის დროს. გრ. ლაგაზაშვილმა სინამდვილით დაახასიათა რევოლიუციონერთა რიგების ჯაშუში ლეონბერგი. მხოლოდ თამაშსა და მიმიკას უფუჭებდა სიტყვების გაგძელება. უფრო თავისუფლად რომ დაეჭირა თავი საუკეთესო ლეონბერგი იქნებოდა. ბორია ლითანიშვილმა ირაკლი კოზირიძე სრული რევოლიუციონური გამომეტყველებით და სიყვარულით დაგვიხატა. შთაბეჭდილებას ანელებდა ჩაცმულობა—წუღები და გალიფე. გარევინ ყარდაშიანი (ქაიხოსრო ბახუტაშვილი) ზედმეტი მიმიკით და ოხუნჯობით სიცილს იწვევდა.

თევდორეს (ვლ. ზაქაიძე) და არტემ გუგულიანს (იშხანოვი) როლების უცოდინარობა ეტყობოდათ. ძლიერ კარგი იყო ლადო ხოველი—ლევან აზრუმელაშვილი. მისმა სიდინჯემ, სიტყვების მკაფიოდ გამოთქმამ და თავისუფალმა თამაშმა სავსებით დააკმაყოფილა მაყურებელნი. არა უჭირდათრა როტმისტრ შვილიევს (სეფე ლორთქიფანიძე) და ხრაპს (ალ. ჩოხელს); მათ თვალწინ წამოგვიყენეს ძველი მოხელეები.

საერთოდ როლების უცოდინარობა ემჩნევოდათ. სასურველია, თამაშის დროს მიმიკა და ლაპარაკი არ დააშორონ ცხოვრების სინამდვილეს.

დარბაზი თითქმის ხალხით გაივსო. დამსწრე საზოგადოება არავითარ ყურადღებას არ აქცევს დარბაზში გაკრულ განცხადებას: „დარბაზში თუთუნის მოწევა სასტიკად აკრძალულია“, პარტერი თუთუნის ბოლით გატენილია ყოველთვის.

**არ. კორინთელი**

**ანაგის** თეატრის საქმე ერთხანად დაცემული იყო და ხალხიც არ დადიოდა. სიღნაღის სამაზრო პარტკომმა ა. წ. იანვრის პირველ რიცხვებში გამგეობა გადაახალისა: ძველი და ახალი მომუშავე ძალები შეაერთა. გამგეობაში არჩეული არიან: ბიქტორ ედიგარაშვილი (თავმჯდ.), ვასო მჭედლიშვილი, შალ. დარჩიაშვილი, შაქ. ვ. მირიანაშვილი მჭედლიშვილი (მდივანი, მოლარე), კანდიდ.: გ. ხიზანაშვილი და ნადია მირიანაშვილი. გამგეობა შეუდგა დაკოჭლებული საქმის განახლება-გადახალისებას. მოწვეულია ადგილობრივი სცენის მოყვარეთა დასი, შემდგარია სარეჟისორო კოლეგია (მ. ასატუროვი და ვ. ჯანიაშვილი). წარმოდგენები იმართება კვირაობით. სცენის მოყვარენი თუმცა უანგაროდ მუშაობენ, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შრომის ფასს მოითხოვს (როგორ მოგწონთ—სცენისმოყვარე და შრომის ფასი?!) და გასამრჯელოს მაშინ მოითხოვენ, როცა თეატრს ჯერ კიდევ საიმასო შემოსავალი არა აქვს, დარაჯის ჯამაგირი ვერ გაუსტუმრებია. საჭიროა, როგორც სცენის მოყვარეთა უანგარო დახმარება, აგრეთვე ინტელიგენციის ხელის წახმარება, რომ ეს ერთადერთი საუკეთესო თეატრი კახეთში ისე მოეწყოს, როგორც მისმა დამწყებებმა დაგეგმეს (მაგ. ფოიე აკლია, ჭერი უნდა შეკეთდეს და სხ.). აქვე უნდა მოვიხსენიო ერთი ამბავი: ანაგა-ვაქირ-კარდანახის სცენის მოყვარენი წინად გაერთიანებული იყვნენ და ერთი გამგეობა ჰყავდათ. ეს სოფლები ერთმანეთზე 2—3 ვერსითაა გადაბმული. ბოლო ხანებში სცენის მოყვარენი გაითიშნენ და განკერძოებული მოქმედება განიზრახეს, და ეს მაშინ, როცა ანაგის გარდა არც ერთ სოფელს შესაფერი

სათეატრო შენობა არა აქვს. ძალთა დაქსაქსვის გამო შინაარსიანი პიესების დადგმა გაძნელდება. განსაკუთრებით გვაკვირვებს ვაქირის საქციელი: რათ უნდა საკუთარი თეატრი (ჯერ-ჯერობით მაინც), როცა ანაგის თეატრი ვაქირ-ანაგის მიჯნაზეა აშენებული? **ვანაგელი.**

**ვაკეს საბავშო სახლში** (ყოფ. ვალტერის) 8 მარტს ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად გაიმართა ლიტერატურული დილა. დაესწრენ სხვადასხვა დაწესებულებიდან ქალთა წარმომადგენელნი და ბავშვებს ბლომათ საჩუქრები მოუტანეს. დილა დაიწყო ინტერნაციონალის ხიმღერით, რის შემდეგ სახლის გამგე არკ. ხუნდაძემ მოკლე სიტყვით აღნიშნა წინანდელი და ეხლანდელი დამოკიდებულება საზოგადოებისა უპატრონო ბავშვებისადმი. გამოვიდა სომხის ჯგუფი პატარა პიესით, ლექსებით და სიმღერებით, ასეთივე წესით რუსული და ბოლოს ქართველების ჯგუფი. წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება მოიხდინა მსმენელებზე. დაუღალავ მუშაობისათვის მადლობის ღირსნით არიან სომხური ჯგუფის ხელმძღვანელი სოფიო არზრუმანოვი, რუსული ჯგუფის—დარია ზავრიევი და ქართველი ჯგუფის—თამრა გერსამია. სტუმრები კმაყოფილნი დაიშალნენ.

**საჭამიასერელი**

# ბიბლიოგრაფია

**გრ. გოგიბერიძე. ადამიანის წარმოშობა»** შესწორებული და შევსებული, გამოცემა მეორე, ტფ. 1925 წ. 88 გვ. დასურათებული, ფ. 1 მ.

დღეს, როდესაც ძველ შეხედულებათა გარდაფასება ხდება, ცრუმორწმუნეობას მეცნიერება ეჭიდება და ადამიანის გონება ხავსმოდებულ რწმენისაგან თავისუფლდება, ზემოხსენებულ წიგნს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ოციოდე წლის წინად გამოვიდა „დარვინიზმი“, „ჰექსლის თეორია“ და სხ. მსგავსნი. მაგრამ იმდენად მწიგნობრული ენით, უცხო სიტყვებით აჭრელებული, რომ ჩვეულებრივ მკითხველსაც ვერ შეეგნო მათი არსი: ადამიანის და ჯიშთა წარმოშობის რაობა და ვითარება. ამ მხრივ ეს წიგნი ზედმისწრებაა ყველა იმისათვის, ვისაც ჰსურს პირველდამწყე სწორი და ნათელი შეხედულება იქონიოს ადამიანის წარმოშობის, სარწმუნოების და სხ. შესახებ. ენა მდაბიოა, ხალხური, აზრთა გადმოცემა—ყველასათვის გასაგები, მეცნიერთა მოძღვრებანი—მარტივად გაშუქებული. მარტო ის გარემოება, რომ ამ სამი თვის განმავლობაში ეს წიგნი მეორედ იბეჭდება, მჭერმეტყველურად ჰლაპარაკობს მის ღირსებაზე. პირველ გამოცემასთან შედარებით, ეს გამოცემა ბევრით შესწორებულია სტილის მხრივ და შევსებული.

წიგნი მიღებულია სახელმძღვანელოდ საბჭოთა პარტსკოლის I და II საფეხურის მსმენელთათვის. დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზე, მშვენიერი სურათებით შემკული. თვითგანვითარების მიმდევარი მუშა-გლეხებისათვის და, საერთოდ, მოზარდი თაობისათვის, ეს წიგნი საუცხოო წყაროა და უსურვებთ ფართედ გავრცელებას.

**ი. არიელი.**

# ქუთაისის სამუსიკო ტეხნიკუმი

სრულიად შემთხვევით მთელი დღით ქუთაისში მომიხდა ყოფნა და მაშინვე გავეშურე სამუსიკო ტეხნიკუმისაკენ, რომლის ბედიღბალი მეტად მაინტერესებდა, რადგანაც მის დაარსებაში მცირეოდენი მონაწილეობა მეც მიმიძღვის.

სასწავლებელი მოთავსებულია ბალახვანის ქუჩაზე კოპწია და ნათელ შენობაში, სამეცადინო კლასები საკმარისია, მხოლოდ საკონცერტო დარბაზი, ცოტა არ იყოს, დაბალია და სათანადო რეზონანს ვერ იძლევა.

მოწაფეთა რიცხვი ორას კაცს აღემატება, რომლებიც სხვადასხვა სპეციალურ დარგებში მეცადინეობენ (ვიოლინოს, ჩელოს, ფორტეპიანოს და სიმღერის კლასები), გარდა ამისა არსებობს დაბალ და საშუალო კურსების თეორიის ყველა მსმენელთათვის სავალდებულო თეორიის კლასი და აგრეთვე 120 კაცისაგან შემდგარი საუცხოვო გუნდი, რომელსაც ლოტბარობს ტეხნიკუმის სათავეში მდგომი ილიკო აბაშიძე.

აღსანიშნავია მასწავლებელთა პერსონალის ჩუმი, მუყაითი და ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობა, რომლის წყალობითაც სასწავლებელს თავის ამ სულ ხუთიოდე წლის არსებობის განმავლობაში შედარებით დიდსა და შესამჩნევ შედეგებისთვის მიუღწევია. **ალ-ი**

# სახელოვნო ქრონიკა

## თეატრი.

**აკადემიური დრამა** საგაზაფხულოდ მიემგზავრება პროვინციაში წარმოდგენების გასამართავად.

**წითელ თეატრში** დ. კობახიძე ამზადებს დასადგმელად ირეთელის პიესას: „დამარცხებულნი“. განზრახულია ხალხური რეპერტუარის განახლება. მზადდება „ბასტილიის ალება“, ვ. გარრიკის დადგმა.

**წმ. ნინოს უბანში** განუზრახავთ სათეატრო დარბაზის მოწყობა.

**ს. მეჯვრისხევში** შენდება სახალხო სახლი.

**თელავის** სახალხო სახლის აშენება დასრულდება სულ მოკლე ხანში. მაასისათვის გაიხსნება თეატრი.

**ჭიათურის მუშათა** დრამატიული წრის მიერ მარტის 17 წარმოდგენილი იქნება ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“ ალ. იმედაშვილის საგასტროლოდ. წარმოდგენას ხელმძღვანელობს იანგო აპტალიდი.

**მათხოჯის** დამწვარ სახ. სახლს ამხ. კალინინმა დახმარება აღუთქვა.

**მოსკოვის სამხატვრო თეატრის** გასტროლები მოკლე ხანში დაიწყება რუსთველის თეატრში.

**თელავის პროფკავშირების** კულტკომისიის თავმჯდომარე სოსო მაჭავარიანი დანიშნეს შილდის სახალხო მოსამართლედ, ხოლო მის მაგიერ არჩეულ იქნა პედაგ. ტეხნიკუმის მასწავლებელი კ. გეგელიძე.

**გორის დრამატ. კოლექტივის** თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სერ. გერსამია, გამგეობაში: გრ. ყანჩელი, შ. კორინთელი, კანდიდატად: მღებროვის ასული. წარმოდგენები იმართება კვირაში ორჯერ—შაბათობით და კვირაობით. უმთავრესად იდგმება ორიგინალური პიესები, რეჟისორად მოწვეულია დ. აბდუშელი.

### მუსიკა

**ზ. ფალიაშვილი** სწერს ახალ ოპერას „ლატავრა“-ს, სანდრო შანშიაშვილის პიესის მიხედვით. ეს პიესა საოპეროდ საუცხოო მასალას წარმოადგენს.

**ლადო აღნიაშვილის** მიერ პირველი ქართული ეროვნული გუნდის დაარსების 40 წ. თავი წელს სრულდება. განზრახულია შესაფერი საღამოს გამართვა იმ დროის გუნდის მონაწილეთა და ხალხურ გუნდების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

**სანდრო კავსაძის** სახალხო მუსიკის ასპარეზზე მოღვაწეობის 35 წლის თავი შესრულდა.

**კ. მაღრაძის ლოტბარობით** ახლად შემდგარი გუნდი მოკლე ხანში გამართავს კონცერტს.

**ძუკუ ლოლუას** გარდაცვალებიდან 6 თვის შესრულების თავზე, მისი გუნდი კიწი გეგეჭკორის ხელმძღვანელობით გამართავს ქართულ ეროვნულ კონცერტ-საღამოს. შემოსავალი გადაეცემა ძუკუს უნუგეშოდ დარჩენილ ცოლშვილს (დარჩა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი ბალღი.)

### მწიგნობრობა.

**განათლების** სახ. კომისარიატის სოც.-აღზრდის მთავარ მართველობის სალიტ.-სამხატ. სექცია მოკლე ხანში გამოსცემს 16-მდე საყურადღებო წიგნს, სხვათა შორის ჰარდუდის „განახლებული დედამიწა“-ს (300 გვ.) მისივ თაოსნობით გამოდის: „ნაკადული“, „წითელი სხივი“, „მოწაფის ხმა“, „კარმირ წილერ“ (სომხური).

**ივ. როსტომაშვილის** ხელთნაწერებში სხ. შ. აღმოჩნდა გამოსაცემად დამზადებული თვიური ჟურნალის სახით „სურათ-კონა“ ბუნებიდამ და ცხოვრებიდან. შეკრებილია და წესზე დალაგებული საუცხოვო სურათები შესაფერი ხალხური ენით განმარტებული. სასურველია მისი გამოცემა, როგორც საყოველთაოდ საკითხავისა.

**ქართველ მწერალ ქალთა** სამხატვრო-სალიტერატურო ალმანახი მოკლე ხანში გამოვა. წინასწარი ხელის მოწერა შეიძლება ან. წერეთელთან (არტილერიის ქ. № 5).

### სხვადასხვა

**ნაამგდარი სცენის მოყვარე ქალი** თელავისა ვერა ნესტორ სიდამონიძის ასული თვეზე მეტია მძიმედ არის ავად. თითქმის 15 წელი ემსახურებოდა თელავის სცენას, უანგაროდ, უფასოდ. ითვლებოდა ნიჭიერ მსახიობად, ამ ჟამად კი ხელმოკლეობის გამო ლოგინზეა უპატრონოდ.

**აფიშორი პაჭიკა,** რომელიც ქართულ თეატრს თითქმის 40 წ. ემსახურებოდა, როგორც აფიშებისა და განცხადებათა დამტარებელი თუ სხვა დავალებათა შემსრულებელი მუშა, ამ ჟამად ორივე თვალით დაბრმავებულია. საჭიროა დახმარება, იმედია განიკურნოს.

**ალ. მაქ. მიქელაიშვილი,** რომელიც 80-იან წლებიდან ოზურგეთში ყოველგვარ საკულტურო სარბიელზე (თეატრში, მწიგნობრობისა და სტამბის, საქალაქო და სასკოლო საქმეში) მუშაობდა, აგრეთვე 1905 წლიდან რევოლიუციონურ მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ამ ჟამად მძიმე ავად არის (ოზურგეთში).

**სახალხო თეატრის** სცენის მოყვარე მარო მარგველაშვილი მძიმე ავადაა.

---

### სოც. უზრუნველყოფ. სახალხო კომისარიატის

## ლატარიის საჯარო გათამაშება

1925 წ. 28 თებერვალს გათამაშებულ იქნა სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მომგებიანი ლატარია. გათამაშებას დაესწრო სოც. უზრ. კომისარის მოადგილე ამხ. გ. პარკაძე, საქ. ცაკის, საქ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის, ბანკების და პრესის წარმომადგენლები, აგრეთვე წარმომადგენელნი დამსწრე საზოგადოებისა. მოგება ხვდა შემდეგ ბილეთებს:

| სერიის №№ | ბილეთების №№ | მოგების თანხა | სერიის №№ | ბილეთების №№ | მოგების თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 363 | 20 | 200 | 123 | **500** |
| 8 | 396 | 20 | 201 | 272 | 20 |
| 11 | 373 | **100** | 202 | 68 | 20 |
| 18 | 429 | 20 | 206 | 245 | 20 |
| 19 | 307 | **50** | 221 | 357 | 20 |
| 32 | 108 | 20 | 227 | 431 | 20 |
| 34 | 169 | **50** | 229 | 25 | 20 |
| 36 | 135 | 20 | 231 | 358 | **100** |
| 37 | 298 | **50** | 232 | 227 | 20 |
| 41 | 106 | 20 | 236 | 182 | **50** |
| 46 | 262 | **50** | 240 | 281 | **50** |
| 47 | 419 | 20 | 241 | 468 | 20 |
| 49 | 261 | **1.000** | 245 | 133 | **50** |
| 64 | 213 | 20 | 255 | 417 | **50** |
| 67 | 346 | 20 | 256 | 89 | **2.000** |
| 69 | 33 | 20 | 257 | 362 | 20 |
| 71 | 252 | **50** | 260 | 333 | 20 |
| 79 | 369 | 20 | 286 | 323 | 20 |
| 80 | 497 | **50** | 287 | 436 | 20 |
| 81 | 229 | 20 | 295 | 250 | **250** |
| 86 | 365 | 20 | 296 | 200 | 20 |
| 89 | 469 | 20 | 300 | 145 | 20 |
| 96 | 23 | 20 | 302 | 388 | 20 |
| 99 | 416 | 20 | 303 | 454 | 20 |
| 100 | 165 | **100** | 304 | 37 | 20 |
| 101 | 60 | **50** | 307 | 240 | 20 |
| 113 | 325 | **50** | 308 | 93 | **100** |
| 119 | 149 | **50** | 313 | 118 | 20 |
| 121 | 301 | 20 | 315 | 207 | 20 |
| 125 | 195 | 20 | 318 | 153 | 20 |
| 127 | 122 | 20 | 319 | 50 | 20 |
| 128 | 355 | **100** | 327 | 178 | 20 |
| 130 | 259 | 20 | 329 | 489 | 20 |
| 131 | 248 | **100** | 330 | 306 | **100** |
| 133 | 235 | 20 | 335 | 32 | 20 |
| 135 | 5 | 20 | 336 | 315 | **250** |
| 136 | 418 | 20 | 339 | 199 | 20 |
| 140 | 18 | 20 | 342 | 116 | 20 |
| 142 | 140 | 20 | 349 | 205 | **100** |
| 143 | 126 | 20 | 354 | 471 | 20 |
| 149 | 39 | 20 | 361 | 382 | 20 |
| 155 | 423 | 20 | 363 | 374 | **50** |
| 158 | 324 | **50** | 368 | 55 | **100** |
| 161 | 473 | 20 | 371 | 427 | 20 |
| 164 | 20 | **50** | 374 | 414 | 20 |
| 165 | 278 | 20 | 378 | 36 | 20 |
| 166 | 275 | **50** | 379 | 115 | 20 |
| 177 | 79 | **50** | 382 | 185 | 20 |
| 181 | 304 | **100** | 385 | 293 | 20 |
| 184 | 85 | 20 | 388 | 314 | 20 |
| 187 | 345 | 20 | 390 | 12 | **50** |
| 188 | 455 | 20 | 391 | 487 | 20 |
| 190 | 377 | 20 | 393 | 256 | 20 |
| 195 | 350 | 20 | 394 | 451 | 20 |
| 199 | 300 | **50** | 398 | 476 | 20 |

მოგებული თანხა დაუყოვნებლივ მიეცემა ბილეთის ანუ კუპონების წარმომდგენისთანავე სალატარიო კომისიაში (სასახლის ქ. № 6), საურთიერთო ნდობის ბანკში. მოგებათა მიღება შეიძლება ა. წ. აპრილის 23-დე.

**სალატარიო კომისია.**

ხელმძღვანელი: **კოლეგია.** რედაქტორ-გამომცემელი: **იოსებ იმედაშვილი.**

## წიგნთ-დასაკაზმი სახელოსნო

# ძმ. უმიკოვებისა

ტფილისი, შტაბის ქ. № 2, როზა ლიუქსემბურგის ძეგლის პირდაპირ.

იღებს ყოველგვარ დასაკაზმავ საქმეებს.

ასრულებს დროზე, ფაქიზად და ზომიერ ფასებში.

---

ფოტოგრაფი

# ვ. ჩლაიძე

პლეხანოვის პრ., № 147

იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სურათებს

ადიდებს პორტრეტებს, ტუშითა და ფერად საღებავებითაც

შეკვეთა სრულდება მხატვრულად

ფოტოგრაფიის უკანასკნელი ტეხნიკის თანახმად

სუფთად და თავის დროზე

(5—1)

---

ფოტოგრაფია ევ. ქვანიასი

(რუსთველის პრ. № 8, „ზარია ვოსტოკა"-ს რედაქციის გვერდით, ეზოში, მუშათა სახლის პირდაპირ)

ასრულებს ყოველგვარ

საფოტოგრაფიო სამუშაოს

სუფთად, ხელოვნურად, სწრაფად.

(8—6)

---

რესტორანი

# „მცხეთა"

(ვე-ის დაღმართის ქიმში, ყოფ. ზემელის აფთიაქის ეზოში)

ევროპიული და აზიური საჭმელები

ახალ-ახალი სანოვაგით

სადილი 1—6 საათამდე | ვახშამი ღამის 3 ს-მდე.

ყოველთვის მოიპოვება

მცხეთის პიროშკი

[illegible]

პატივისცემით სერგო კახეთელიძე

---

ექიმი ა. დ. ალექსიძე

(რტიშჩევის ქ. № 10)

შინაური და ქალთა ავადმყოფობა

იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—7 ს., სამშაბათს გარდა

10—2

---

ფოტოგრაფ

# პ. ნიკოლაენკოს

სინათლით წერის სახელოსნო

ტფილისი, პლეხანოვის პრ., № 107

ასრულებს ყოველგვარ

სამხატვრო-საფოტოგრაფიო სამუშაოს, პორტრეტებს, ჯგუფებს, ფოტოესკიზებს და სხ.

ადიდებს სურათებს.

ღიაა ყოველდღე დილის 10 ს. საღ. 5 ს.

# ამიერკავკასიის რკ.-გზათა ეკონომიური სამსახური

## აცხადებს რომ ქალაქ

ტფილისის
ბაქოს
მოსკოვის

ერევნის
ბათომის
განჯის

თელავის
ევლახის და
ზუგდიდის

**საკომერციო სააგენტოებში და ქალაქის სადგურებში სწარმოებს შემდეგი ოპერაციები:**

1. სამგზავრო ბილეთების გაყიდვა ყველა მიმართულებით (შინ მიტანით).
2. სასაწყობო ოპერაციები.
3. ყველა საკომერციო ოპერაციები.
4. სესხის გაცემა საქონლის გირავნობით, როგორც სამიმოსვლო სადგურებზე, ისე საწყობებში.
5. ტვირთის მიღება, გაგზავნა და გაცემა.
6. ტვირთის გადაზიდვა შარაგზით.
7. საქონლის ყიდვა-გაყიდვა სარკინისგზო მუშტრების დავალებით.
8. საბაჟო, საბქციზო და სხვა დავალებათა შესრულება.

**ყველა ზემოხსენებული სატრანსპორტო ოპერაციები სწარმოებს უმცირესი საკომისიო ფასგადახდით.**

საკომერციო სააგენტოები და ქალაქის
სადგურები დიდ დახმარებას უწევენ მუშტრებს სარკინისგზო-სატრანსპორტო საქმეებში.

(2—1)





## ა. ალექსიძის

# საცეკვაო სტუდია

**ვასწავლი ყოველგვარ**

კავკასიურ ეროვნულ და ევროპიულ ცეკვებს

ხელსაყრელ ფასებში

**ბავშვებს 12 წ. ვღებულობ განსაკუთრებულ ჯგუფებში.**

**პირობებზე მოლაპარაკება ყოველდღე 5—8 საათ., გარდა კვირისა.**

**კალინინის ქ. (ნიკოლოზის ქ.), № 47.**



## ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს

## კ ა ნ ტ ო რ ა

საზოგადოების და თავისი რწმუნებულების საყურადღებოთ აცხადებს:

1) ყველა რწმუნებულმა დაუყონებლივ დააბრუნოს წაღებული ქვითარები.

2) ხელისმომწერთ ვსთხოვთ ჟურნალის დროზე მიუღებლობა სასწრაფოდ გვაცნობონ.

რედაქცია.

რედაქციის ბინა: რუსთაველის პრ., № 34.



იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

## ა რ ჩ ი ლ ქ ო რ ი ნ თ ე ლ ი ს

# პიესათა კრებული:

1. **კაცი-ჭამიას დაკრძალვა,** ბატონყმობის ისტორიიდან 4 მოქ. 2. **ეშმაკის ჯოხი,** 5 მოქ. 3. **ხატობა** — 4 მოქ. სოფლის ცხოვრებიდან. 4. **მუშის ძალა,** რევოლიუციონური 4 მოქ. 5. **დალუპული სიყვარული,** 3 მოქ. და 5 სურ; 6. **რევოლიუციის მსხვერპლი** — 4 მოქ. 7. **ვაჟი ქალის კაბაში**—კომ. 1 მოქ. 8. **ცხენაობა**— საბავშო 2 მოქ.

მსურველთ შეუძლიანთ წინდაწინვე დაიკვეთონ „თეატრი და ცხოვრება"-ს რედაქციაში. **ვინც წინდაწინ დაიკვეთს** და ფულს შემოიტანს—ერთ მანეთად დაეთმობა.